გაზეთი ბევრისა, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№31 (1057) 20 – 22 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, გივი თარგამაძისთვის დაცული ინფორმაციის მიწოდების გამო, სამსახურიდან დაითხოვეს

გვ. 4



# მერაბიშვილის მილიონიანი ნეტარება



23-ათასლარიანი დივანი,
10 834-ლარიანი სავარძელი,
9 655-ლარიანი მაგიდა,
37 827-ლარიანი სანათი და
13 719-ათასიანი სანოლი
ათონელის რეზიდენციისთვის

გვ. 3

## ვახტანგ ბეგიაშვილი: „ნაციონალები ვერ ეღირსებიან იმის განხორციელებას, რაც ჩაიფიქრეს“



## „ვაია, შვილო“

მოქალაქეების პასუხი კითხვაზე, მიდიხართ თუ არა 21 მარტს აქციაზე

## „ისლამურ სახელმწიფოს“ კავკასიის დაპყრობა სურს



გვ. 8

რომელ ქართველ პოლიტიკოსს ელის საფრთხე და რა ინფორმაციას ფლობს ზაალ კასრელიშვილი

## ქვანიას საქმის პროკურორი რეზო ნადოი დიდუბის რაიონულ პროკურორად დაინიშნა?!




გვ. 2

ვინ არის რევაზ ნადოი და ვინ მფარველობს „ნაციონალების დაკვეთის შემსრულებელ" ყოფილ მოსამართლეს, რომლის პასუხისგებაში მიცემას სოზარ სუბარი 2007 წელს ითხოვდა

## მევახშეობა ქართულად — როგორ ასახლებს ბინიდან ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ბიზნესმენს

# ჟვანიას საქმის პროკურორი რეზო ნადოი დიდუბის რაიონულ პროკურორად დაინიშნა?!



## ვინ არის რევაზ ნადოი და ვინ მფარველობს „ნაციონალების დაკვეთის შემსრულებელ“ ყოფილ მოსამართლეს, რომლის პასუხისგებაში მიცემას სოზარ სუბარი 2007 წელს ითხოვდა

მარიამ მაჭავარიანი
5-95-41-39-68

**„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ჟვანიას საქმის პროკურორი რეზო ნადოი თბილისის დიდუბის რაიონულ პროკურორად დაინიშნა. შესაბამისად, სასამართლო პროცესებზე სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციას სხვა პროკურორი შეასრულებს. „ვერსია“ შეეცადა, ინფორმაცია მთავარ პროკურატურაში გადაემოწმებინა და გაერკვია, რას უკავშირდება ეს ცვლილება — დააწინაურეს თუ დააქვეითეს სკანდალურად ცნობილი პროკურორი? თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარ პროკურატურაში ინფორმაცია არც დაადასტურეს და არც უარყვეს, ოფიციალურად კი გვიპასუხეს, რომ გვესარგებლა პროკურატურის ვებგვერდით. მოკლეთ, კომენტარის გაკეთება არ ისურვეს და ზრდილობიანად (თუმცა ვერ ვიტყვი, რომ გონივრულად) თავიდან მოგვიშორეს... რადგან ასეა, რეზო ნადოის „სტილით“ ვიმუშავებთ, არსებულ ინფორმაციას გონივრულ ეჭვსა და კულუარულ ინფორმაციებს დავუმატებთ და რამდენიმე ვერსიას შემოგთავაზებთ.**

მართალია, პროკურატურის სისტემაში კარგად ჩახედული ადამიანები ამბობენ, რეზო ნადოის დიდუბის პროკურორად დანიშვნა მისთვის დაწინაურებას ნიშნავსო, მაგრამ სხვა მოსაზრებით, ეს ცვლილება შესაძლებელია ექსპერტ ჩაჩუას გამართლებას უკავშირდებოდეს. ნადოი ჟვანიას საქმეს იმის გამო ჩამოაცილეს, რომ გამოძიება კვლავ ჩიხში შეიყვანა — 9-თვიანი პატიმრობის შემდეგ, ჩაჩუას გამართლება და შემდეგ მისი განცხადება — არ ვაპირებ ჩივილს, შეცდომა ყველას მოსდისო, აშკარად დაცინვაა პროკურატურისა და, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ გამოძიებამ ვერ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულებები, რათა ეს შედეგი არ დამდგარიყო. შესაბამისად, არავინ იცის, რა შედეგი დადგება, ხარშილაძე-ძაძამიასა და ასევე გვარამია-ლაზარიას სასამართლო პროცესზე, რომელიც, დაპირებისამებრ, უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს. „ვერსია“, სხვათა შორის, დაინტერესდა, რა ხდებოდა ამ პროცესებზე, როგორი იყო პროკურატურის პოზიციები და სასამართლო სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერები გამოითხოვა, რომელსაც მოგვიანებით შემოგთავაზებთ, ამჯერად კი, მხოლოდ იმას გაგახსენებთ, ვინ არის რეზო ნადოი?!

რეზო ნადოი სკანდალურად ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ციხის ბუნტის საქმეზე ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი პროკურორის გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა. პროკურორს მოსამართლისთვის სხდომის გაცდენის საპატიო მიზეზი არ წარუდგენია, რის გამოც 300 ლარით დააჯარიმეს. 2014 წლის 17 სექტემბერს, ციხის ბუნტის საქმის ბოლო სხდომა უნდა გამართულიყო, რის შემდეგაც განაჩენი დადგებოდა, თუმცა პროკურორის გამოუცხადებლობის გამო, პროცესი 19 სექტემბრისთვის გადაიდო. ამის შემდეგ ახალაიას მხარდამჭერებმა თბილისში გამოაკრეს პლაკატები წარწერით „იძებნება“, ხოლო ანი ნადარეიშვილმა სოციალურ ქსელში შემდეგი კომენტარი გაავრცელა: **„ყურადღება!!! იძებნება უგზო-უკვლოდ დაკარგული პროკურორი რევაზ ნადოი (ჩვენი ინფორმაციით, წულუკიანმა გამოკეტა თავისი სამუშაო კაბინეტის მოსასვენებელ ოთახში, „გათბობის რადიატორზე ხელბორკილით ჰყავს მიბმული“), მაგრამ თუ ვინმე სადმე იპოვით, გთხოვთ, ხვალ 4 საათზე მოიყვანოთ სასამართლოში!“**

მაშინ ახალაიას მომხრეები ეჭვობდნენ, რომ პროკურატურა განგებ ცდილობდა საქმის გაჭიანურებას, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც.

**„მოკლედ, მეგობრებო, მატყუარა პროკურორ რევაზ ნადოის (ვითომ შეუძლოდ რომ გახდა და პროცესებზე არ გამოცხადდა) მისამართი მოვიპოვე, დავადექით სახლში და გარეთ დაგვხვდა შორტებით და შლოპანცებით „პორშეს“ ათვალიერებდა (ალბათ იმდენი პრემია მიიღო, ყიდვას აპირებს), როგორც კი დაგვინახა, ეგრევე ვირთხასავით შეძვრა სახლში, გამოვიდა ვიღაც ქალი და წნევა აქვს და ცუდად არის, ფეხზე ვერ დგებაო. აბა, ეს ვინ იყო-მეთქი, მისი ძმა იყოოოო :)))) უცებ მოვიდა 5 პატრულის მანქანა და 4 ოპერატიული დაბურული მინებით, მიაყენეს სახლთან, უნდოდათ გაეპარებინათ, მივადექი ვიდეოკამერით, უცებ პატრული იძახის, ახალაიას ცოლი მოდისო და ჩახტა ყველა მანქანაში და გაიქცა“, — წერს ანი ნადარეიშვილი.**

ამ ფაქტის შემდეგ პროკურატურა იძულებული გახდა, ოფიციალური განცხადება გაევრცელებინა: **„პროკურორი რევაზ ნადოი შეუძლოდ გახდა და სასამართლო პროცესზე დასწრებას ვეღარ შეძლებს, რის გამოც გადაწყდა, რომ ბაჩო ახალაიას საქმეზე მას სხვა პროკურორი ჩაანაცვლებს“.** მაშინ რეზო ნადოი ია დარჯანიამ შეცვალა. კულუარებში ამბობენ, რომ რეზო ნადოიმ შეგნებულად აიცილა ახალაიას საქმის განხილვა, თუ რატომ, ამას მისი ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ თავადაც დაასკვნით.

რეზო ნადოი დაიბადა 1971 წლის 16 აგვისტოს, ქ. თბილისში. 1989 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 121 საშუალო სკოლა. 1990-1996 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1997-1999 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის სამგორის განყოფილების გამომძიებლად. 1999-2001 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში უფროს გამომძიებლად. 2001-2004 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებლად. 2004-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე. 2006 წლის მარტში ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 29 აგვისტოს 516 ბრძანებულებით დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.

უფლებადამცველების, არასამთავრობოებისა და სახალხო დამცველის მხრიდან მოსამართლე ნადოის წინააღმდეგ, პრესაში არაერთი განცხადება მოიძებნება – მის მიმართ მთავარი, თუმცა არაოფიციალური ბრალდება, ფალსიფიცირებულ საქმეებზე „ზემოდან“ დაკვეთილი და გამოტანილი გადაწყვეტილებებია.

2007 წელს ნადოის წინააღმდეგ მაშინდელი სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც გამოდიოდა და მილდიანების საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ წინასწარი გამოძიების დაწყებასაც კი ითხოვდა.

2007 წლის პრესაში ვკითხულობთ:

**„საქართველოს სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადოის მიმართ წინასწარი გამოძიების დაწყება მოითხოვა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ რევაზ ნადოიმ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. დანაშაული ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“.**

ეს საქმე სახალხო დამცველის 2007 წლის ანგარიშშიც მოხვდა. სოზარ სუბარს დღესაც კარგად ახსოვს მოსამართლე ნადოი, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, ძველი ხელისუფლების საქმეების „გამპრავებელს“ უწოდებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, როგორც ამბობენ, ფორმალურად წარმართავდა პროცესებს და აჩვენებდა მხარეს, თითქოს ობიექტური და შემტევი იყო პროკურორთა მიმართ, სინამდვილეში, სააკაშვილის რეჟიმის დროს, ნაციონალური მოძრაობის დაკვეთებს ასრულებდა. ჰოდა, ახლა ის ვიკითხოთ, რამდენად აწყობდა წარსულში ნაციონალური მოძრაობის დაკვეთების შემსრულებელს ბაჩო ახალაიას „ვირის აბანოში“ გამოკეტვა? აქვე ისიც საკითხავია, როგორ და ვისი რეკომენდაციით მოხვდა რევაზ ნადოი ქართული ოცნებით გაბრწყინებულ და სამართლიანობის აღდგენის წყურვილით შეპყრობილ მთავარ პროკურატურაში? რატომ დაავალეს მაინცდამაინც მას ზურაბ ჟვანიასა და ბაჩო ახალაიას საქმეების გამოძიება და საერთოდ, ვინ მფარველობს ნაციონალების დაკვეთის შემსრულებელ პროკურორს?



# ვახტანგ ბებიაშვილი: „ნაციონალები ვერ ელირსებიან იმის განხორციელებას, რაც ჩაიფიქრეს“

გიორგი იაშვილი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ რეგიონებში ნაციონალური მოძრაობის მმართველობაზე გადაღებულ ფილმს აჩვენებს. ჩვენება ხმაურის ფონზე მიმდინარეობს და რეალურად, ეს ხმაური სწორედ იმ პარტიის ლიდერებმა ატეხეს, რომელზეც ფილმია გადაღებული. მათი თქმით, ამ ფილმის ჩვენება მოზარდებისთვის არ შეიძლება, თუმცა იმას აღარ აკონკრეტებენ, რატომ ჩაიდინეს ისეთი რამ მმართველობის პერიოდში, რისი ჩვენებაც არ შეიძლება. „ვერსია“ არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს, ვახტანგ ბებიაშვილს დაუკავშირდა.**

**— ბატონო ვახტანგ, როგორ მიდის ფილმის ჩვენება რეგიონებში? თითქოს ყველგან ხმაურია...**

— პრაქტიკულად, არსად ყოფილა ხმაური. გასაგებია, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა იმით, რაც ნახა, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ამ ფილმის ჩვენებას აპროტესტებენ. ერთადერთი შემთხვევა იყო ფოთში, სადაც თავისუფალი ზონის აქტივისტები იყვნენ შემოსულები და ხმაური ატეხეს. ფოთის მოსახლეობამ თავად იცნო ისინი და თქვეს კიდეც, აქ რა უნდათო. სხვაგან სიმშვიდე იყო და რაც მთავარია, ეს არ არის ახალი, ეს არ არის უცხო, ეს ყველამ იცის, ჩვენ არ ვავიწყებთ ხალხს იმას, რაც იყო. ნაციონალები ვერ ელირსებიან იმის განხორციელებას, რაც ჩაიფიქრეს. მათ სურთ, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დაიწყონ, მაგრამ რეალობა ისაა, რომ ეს ფურცელი სისხლიანია და ამას არასოდეს დავავიწყებთ ხალხს.



**— ნაციონალური მოძრაობის წევრები იმასაც ამბობენ, რომ ეს აქცია სპეციალურად 21 მარტის წინ დაგეგმეთ...**

— სისულელეა. 21 მარტის აქციაზე საუბარიც არ იყო ერთი თვის წინ, როცა ამ ფილმის ჩვენება ბრიუსელში მოვაწყვეთ. მაშინ ევროპელებს ვანახეთ ყველაფერი. არ გეგონოთ, თითქოს რაღაც ახალი მოვიგონეთ. როცა ფილმი გადის, ჩანს სხვადასხვა ტელევიზიის ლოგოები, რომლებზეც ეს ყველაფერი გადაიცემოდა და ხალხს ნანახი აქვს, მაგრამ ჩვენ ერთად შევკარით და ფილმად ვაქციეთ.

**— ამ აქციის საბოლოო მიზანი რა არის?**

— ის, რომ ხალხს არასოდეს დაავიწყდეს, ვინ იყვნენ ნაციონალები. ის, რომ ყველას ახსოვდეს, რა გადავიტანეთ და მთავარი მიზანი ამ პარტიის პოლიტიკურ სამარეში გაშვებაა. ამას მივაღწევთ და მერე გავჩერდებით.



## შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ, ქრთამის აღების ფაქტზე, ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე მამუკა ცაავა დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2015 წლის მარტის დასაწყისში თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე მამუკა ცაავა საქართველოს მოქალაქეს სამსახურის დაწყებაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით მოსთხოვა და ეტაპობრივად გამოართვა 3 000 ევრო.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

*„ვერსიანიუსი“*

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

# მერაბიშვილის მილიონიანი ნეტარება

## 23-ათასლარიანი დივანი, 10 834-ლარიანი სავარძელი, 9 655-ლარიანი მაგიდა, 37 827-ლარიანი სანათი და 13 719-ათასიანი საწოლი ათონელის რეზიდენციისთვის



**ნაციონალი ირმა ნადირაშვილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ იტალიაში ავეჯის შეძენაზე ალაპარაკდა. მთავრობის მეთაურმა, ლარის გაუფასურების ფონზე, 181 ათას ლარზე მეტი ღირებულების ავეჯი შეისყიდაო, მიკროფონებთან ისე შეიცხადა ნადირაშვილმა, თითქოს მისი პარტიის არც ერთ წევრს, ამ რაოდენობის თანხა თვალით არ ენახა და წინა ხელისუფლების წარმომადგენლები მილიონ-მილიარდების ხარჯვას არ იყვნენ დაჩვეულები. არ ვამბობ, რადგან ხალხის ფულს ნაციონალები ჭამდნენ, „ოცნებამაც" უნდა ჭამოს, უბრალოდ, გამაღიზიანებელია, ქვებს ისინი რომ ისვრიან, ვისაც ამის მორალური უფლება ყველაზე ნაკლებად აქვს. რატომ? — ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი, ალბათ პატარა ბავშვმაც იცის. უფრო კონკრეტულ პასუხს — რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა, მაგალითად, ივანე მერაბიშვილის პრემიერობის დროს, ათონელის ქუჩაზე, ჯერ კიდევ მშენებარე რეზიდენციის ავეჯში, ჩვენ მოგახსენებთ, ოღონდ ოდნავ მოგვიანებით.**

მანამდე, უკრაინაში გადაბარგებული ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ფრაზა რომ არ გავიხსენო, გული არ მომითმენს — როცა ავლაბრის რეზიდენცია ააშენეს, არნახულად მოაწყვეს და 1 ნაციონალი სასახლეში შებრძანდა, ხალხი კი იმაზე ალაპარაკდა, რა უფლებით ცხოვრობს ფუფუნება-განცხრომაშიო, ქვეყნის მაშინდელმა პირველმა მიკროფონებთან ჩაიქირქილა, აქ დავტოვებ ამ შენობა-ნივთებს, როცა წავალ, ზურგზე ხომ არ მოვიკიდებო. დღეს ნაციონალები იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ ღარიბაშვილი მოიკიდებს იტალიურ საწოლებსა თუ სავარძლებს ზურგზე და თან წაიღებს. ან იმის დამტკიცებას ცდილობენ, რის საპირისპიროსაც მუდამ გვამუნათებდნენ 9 წლის განმავლობაში — ფუფუნების საგნებს კი არ ვყიდულობთ, ქვეყნის პრესტიჟია, მაგარი ჯიპებით ვიაროთ, უცხოელ სტუმრებს მდიდრული აპარტამენტები და ავეჯი დავახვედროთო. აი, ამ უკანასკნელში ნამდვილად არ ცდებოდნენ — დიახ, ქვეყნის პრესტიჟია, მნიშვნელოვან დელეგაციებს ღირსეულად დახვდეს, მით უმეტეს, პრემიერი და მითუმეტეს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში. ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, ეს შენობა დღეს არ აკმაყოფილებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და მისი ადმინისტრაციისათვის საჭირო სამუშაო პირობებს. ათეული წლებია მას არ ჩატარებია რემონტი, ამ დრომდე არ არსებობდა სივრცე მაღალი რანგის დელეგაციებისა და სტუმრების მისაღებად, რომელიც დააკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებითა და პროტოკოლით გათვალისწინებულ ნორმებს. დღეს, შენობაში რემონტი კეთდება და რატომ იწვევს ეს ნაციონალების აღშფოთებას, ცოტა გაუგებარია. სამაგიეროდ, ისაა გასაგები, რატომ ატეხეს მათ აჟიოტაჟი ამავე ადმინისტრაციის შენობისთვის შეძენილ ავეჯზე — სამწუხაროდ ჩვენ ქვეყანაში ოპოზიციაში ყოფნა, ბუზისგან სპილოს შექმნასა და პოლიტიკური ქულების ჩაწერას გულისხმობს, მით უმეტეს, დაანონსებული აქციის წინ. მთავრობის ადმინისტრაციაში განმარტავენ, რომ ავეჯიც პერსონალურად პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის კი არა, იმ სივრცის მოსაწყობადაა შეძენილი, სადაც გაიმართება უმაღლესი რანგის დელეგაციის შეხვედრები, პირისპირ შეხვედრები და ა.შ. ავეჯის შესაძენად, შესაბამის იტალიურ კომპანიებთან ხელშეკრულებები გაფორმდა შარშან დეკემბერში. მაშინ, როცა არც ლარი იყო გაუფასურებული და არც მთავრობას ჰქონდა გამოცხადებული ,,ქამრების შემოჭერის" პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, კოლოსალური და წარმოუდგენელი თანხები არ გადაუხდიათ და როგორც ირკვევა, არც ბატუტიანი საწოლი შეუძენიათ ირაკლი ღარიბაშვილისთვის, როგორც ამას ირმა ნადირაშვილი იუწყება. მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი მაია ცქიტიშვილი განმარტავს, რომ ბატუტიანი საწოლის შესყიდვა არ მომხდარა და ნაციონალებმა იტალიურიდან არასწორი თარგმანი მოახდინეს. რაც შეეხება ზოგადად, საწოლის შეძენას, ამაში გასაკვირი არაფერია — ყველა ქვეყანაში უმაღლესი თანამდებობის პირებს აქვთ მოსასვენებელი ოთახი მათი სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე. მთავრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ირმა ნადირაშვილმა, დაუზუსტებელი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია გაავრცელა, სადაც ავეჯის ღირებულება იყო შეცდომით. მაგალითად, დამახინჯებულია ინფორმაცია, თითქოს პრემიერ-მინისტრისთვის 24-ათასლარიანი საწოლი შეიძინეს. გაწეული ხარჯები გასაიდუმლოებული არ არის, ინფორმაცია საჯარო, შესაბამისად ყველასთვის ხელმისაწვდომია. „საწოლის შესყიდვა ნამდვილად მოხდა. იყო ერთი საწოლი, რომელიც ღირდა 950 ევრო, ანუ 2 200 ლარი. საწოლი არის გათვალისწინებული პირველი პირისთვის, რომელსაც უწევს დილის 4 საათამდე მუშაობა", — განმარტავს მაია ცქიტიშვილი და იმასაც ადასტურებს, რომ დეკემბერში, გაფორმებული ორი ხელშეკრულების თანახმად ნაყიდი ავეჯი ირაკლი ღარიბაშვილისთვის არ არის განსაზღვრული: **„ავეჯი არ არის შეძენილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის. ეს ავეჯი შეძენილია იმ სივრცისთვის, რომელიც არ გვქონდა მთავრობის ადმინისტრაციაში. არ გვქონდა შესაბამისი სივრცე, რომელიც იყო საჭირო მაღალი რანგის სტუმრების მისაღებად. პროტოკოლით არის გათვალისწინებული სხვადასხვა ფორმატი, რომელიც ითვალისწინებს როგორც პირისპირ შეხვედრებს, ისე დელეგაციის შეხვედრებს. ადმინისტრაციის მიმდინარე რემონტის ფარგლებში, ბუნებრივია, ვაწყობთ ასეთ სივრცეებს, რომელთაც სჭირდებათ შესაბამისი აღჭურვილობა".**

მაია ცქიტიშვილმა ნადირაშვილი კიდევ ერთ ტყუილში ამხილა და განაცხადა, რომ ნაციონალმა ავეჯის ფასები არასწორად წარმოადგინა: **„მაგალითად, ნადირაშვილმა განაცხადა, რომ 1 სკამი ღირს 15 000 ლარი, სინამდვილეში ეს 84 სკამის ღირებულებაა. ერთგან უწერია, რომ რაღაც ნივთი ღირს 24 000, სინამდვილეში კი მასში 2 000 ლარია გადახდილი. ეს ინფორმაცია არ იყო გაცემული ჩვენს მიერ და ალბათ, ეს არის მიზეზი, რის გამოც არასწორი".**

ახლა კი, ექსპრემიერ ივანე-ვანო მერაბიშვილის დროს, მომავალი რეზიდენციის ავეჯის დაპირებულ ხარჯებს შემოგთავაზებთ და თავად განსაზღვრეთ, უხერხული ხომ არაა ბრალდებები იმ პოლიტიკური ძალისაგან, რომელმაც, მაგალითად, მარტო ამ რეზიდენციის რბილ ავეჯში დახარჯა მილიონნახევარ ლარზე მეტი, თითო სკამში გადაიხადა 6-20 ათასი ლარი, თითო დივანში — 20 ათასი, თითო ჭაღში 38 ათასი ლარი, შეიძინა რამდენიმე საწოლი და ამ ყველაფრისთვის, ჯამში 1 097 877, 36 ლარი გადაიხადა.

მაშ ასე, ივანე მერაბიშვილმა, პრემიერობის ხანაში, რეზიდენციისთვის შეიძინა: დივანი, სულ 16 ცალი. მათ შორის, ყველაზე ძვირადღირებული 23 517-ლარიანია (4 ცალი), ყველაზე იაფი კი — 5 191-ლარიანი. დივნებში სულ გადახდილია 187 822 ლარი და 89 თეთრი.

კომოდი, სულ 3 ცალი. ყველაზე ძვირი, კომოდში 8 489 ლარი გადაიხადეს, ყველაზე იაფად კი, 7 428-ლარიანი შეიძინეს. სულ კომოდებში გადახდილია 23 867 ლარი და 35 თეთრი.

მაგიდა, 1 ცალი. ფასი: 9655 ლარი.

სავარძელი, სულ 131 ცალი. მათ შორის, ყველაზე ძვირადღირებული 10 834-ლარიანია, ყველაზე იაფი კი 2 674-ლარიანი. სულ სავარძლებში გადახდილია 523 209 ლარი და 71 თეთრი.

სანათი, სულ 16 ცალი. მათგან ყველაზე ძვირფასი 37 827-ლარიანია (4 ცალი), ყველაზე იაფი კი — 9 901-ლარიანი. სულ სანათებში 333 450 ლარი და 97 თეთრია გადახდილი.

საწოლი, სულ 4 ცალი. მათგან ერთში, ყველაზე ძვირფასში, 13 719 ლარია გადახდილი, ყველაზე იაფი საწოლი კი, 5 300 ლარი დაჯდა. სულ, საწოლებში გადახდილია 17 871 ლარი და 19 თეთრი. შეძენილი ავეჯის საერთო ღირებულება კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, 1 მილიონ 97 ათას 877 ლარი და 36 თეთრია.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჯამში | | | | 2550438 |
| სანათები | | | | 1039621 |
| SATTLER - Pendant light Circolo Inverse (3500 mm) | ცალი | 4 | 37827 | 151306 |
| SATTLER - Pendant light Circolo (3500 mm) | ცალი | 1 | 34664 | 34664 |
| SATTLER - Pendant light Circolo Inverse (3500 mm) | ცალი | 1 | 34358 | 34358 |
| SATTLER - Prendant light Anello 2000 mm 2 x LED | ცალი | 1 | 20244 | 20244 |
| SATTLER - Area light Highmoon with T5 (d=1600 mm) | ცალი | 3 | 11824 | 35471 |
| SATTLER - Pendant light Circolo Inverse (900 mm) | ცალი | 6 | 9901 | 59408 |
| ავეჯი | | | | 1510817 |
| CASSINA - SOFA 4 SEATER WIDTH 317CM, | ცალი | 4 | 23517 | 94069 |
| CASSINA - sofa 276cm 1 wide left armrest depth 104cm, | ცალი | 1 | 20924 | 20924 |
| CASSINA - sofa 276cm 1 wide right armrest depth 104cm, | ცალი | 1 | 20924 | 20924 |
| POLTR. - bed Sera 180x210, leather , headboard SC 26 topo | ცალი | 1 | 13719 | 10073 |
| CASSINA - armchair width .135/depth 109 cm, H 82cm, | ცალი | 1 | 10834 | 10834 |
| CASSINA - armchair width .135/depth 109 cm, H 82cm, | ცალი | 1 | 10834 | 10834 |
| POLTR. - home desk segreto leather SC 28-seppia, extra milk country | ცალი | 1 | 9655 | 9655 |
| CASSINA - Armchair width 92cm/depth 95cm. | ცალი | 11 | 8914 | 98051 |
| CASSINA - armchair with armrest chrome plated base | ცალი | 4 | 8829 | 35315 |
| POLTR. - high drawer chest L65 Vitruvio, leather Saddle 07 black | ცალი | 1 | 8489 | 8489 |
| POLTR. - 3 drawer chest L130 Vitruvio, leather Saddle 07 black | ცალი | 1 | 7950 | 7950 |
| POLTR. - 2 drawers chest L200 Vitruvio, leather Saddle 07black | ცალი | 1 | 7428 | 7428 |
| VITRA - Citterio Grand Repos & Ottoman | ცალი | 1 | 6891 | 6891 |
| VITRA - Alcove Highback Work | ცალი | 1 | 6768 | 6768 |
| VITRA - Alcove Highback Work | ცალი | 1 | 6768 | 6768 |
| VITRA - Alcove Highback Two-Seater | ცალი | 1 | 5413 | 5413 |
| CAPPELLINI - SERIE 3103- BED QUEEN SIZE | ცალი | 3 | 5300 | 7798 |
| armchair Chancellor President leather SC 30-Africa black | ცალი | 1 | 5275 | 5275 |
| VITRA -Place Sofa right corner part | ცალი | 5 | 5191 | 25953 |
| VITRA - Place Sofa left corner part, | ცალი | 5 | 5191 | 25953 |
| VITRA - Alcove Highback Love Seat | ცალი | 1 | 4687 | 4687 |
| Armchair Chancellor Managerial , leather SC 30-Africa black | ცალი | 5 | 4599 | 22997 |
| VITRA - EA 219 Soft Pad Groupfive-star baseswivel office chair with armrests | ცალი | 5 | 3933 | 19667 |
| VITRA - EA 219 Soft Pad Group | ცალი | 24 | 3652 | 87652 |
| VITRA - EA 217, Soft Pad Group | ცალი | 20 | 2873 | 57461 |
| VITRA - EA 117 Aluminium Group | ცალი | 16 | 2686 | 42977 |
| VITRA - EA 208, Soft Pad Group | ცალი | 38 | 2674 | 101619 |

ვერსიანიუსი

## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

21 მარტს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში სამუშაო თათბირი გაიმართა. თათბირს ესწრებოდნენ პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები და საქართველოში ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები. საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს, შალვა ბარელაძესა და თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს, შალვა ბედოიძეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა აქციის ჩატარების გეგმა გააცნეს. შეხვედრაზე განიხილეს აქციის უსაფრთხოდ ჩატარების უზრუნველყოფის საკითხები, ასევე აქციის ჩატარების ადგილსა და მის მიმდებარე ქუჩებზე ავტოსატრანსპორტო მოძრაობის მარშრუტები.

*„ვერსიანიუსი"*



## საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, გივი თარგამაძისთვის დაცული ინფორმაციის მიწოდების გამო, სამსახურიდან დაითხოვეს

შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დადგენილია იმ თანამშრომლის ვინაობა, რომელიც შსს-ს ბაზაში არსებულ დაცულ ინფორმაციას ნაციონალური მოძრაობის წევრ გივი თარგამაძეს სისტემატურად აწვდიდა. დადგინდა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი რუსლან ბაზიაშვილი, კუთვნილი გენერირების მოწყობილობა „დიჯიპასის" მეშვეობით, სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში შევიდა, მოქალაქე რამაზ დევაძის შესახებ ინფორმაცია არასამსახურებრივად მოიძია და საზღვრის კვეთის ამსახველი ფოტომასალა გივი თარგამაძეს მიაწოდა. შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ საკუთარი ეთერისთვის გამოიყენა; ასევე დადგინდა, რომ რუსლან ბაზიაშვილმა გივი თარგამაძეს შსს-ს დაცული ინფორმაცია სხვადასხვა პერიოდში არაერთხელ გადასცა.

გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, რუსლან ბაზიაშვილი სამსახურიდან დათხოვნილია.

ასევე, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება ქალაქ თბილისში, ოქროყანის გზაზე, 2015 წლის 26 იანვარს პატრულ-ინსპექტორებსა და მოქალაქეებს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. ვინაიდან გამოძიების პროცესში გამოიკვეთა საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და განზრახ უკანონო დაკავების შესაძლო ფაქტები, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დაყრდნობით, შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა ჩაატარა. გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, პატრულ-ინსპექტორ არჩილ დავითულიანსა და ნიკა ალიხანაშვილს გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერდათ.

გენერალური ინსპექციის მიერ, შსს-ს ბაზაში დაცული ინფორმაციის გაცემის ფაქტზე, სამინისტროს რიგებიდან 9 თანამშრომელია დათხოვნილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, თავი შეიკავონ მსგავსი მეთოდებით პოლიციის დისკრედიტაციის მცდელობისგან; ასევე პოლიციის თანამშრომლებს შევახსენებთ „პოლიციის შესახებ" კანონს, რომლის თანახმად, პოლიციელს უფლება არ აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის პარტიული ინტერესებისთვის. „პოლიციის ეთიკის კოდექსის" მიხედვით, პოლიციელმა ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი ინფორმაციით და პერსონალური მონაცემებით საკუთარი ან/და ახლობელ პირთა კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ნებისმიერი მსგავსი გადაცდომის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით განსაზღვრული სასჯელის მკაცრი ზომები.

*„ვერსიანიუსი"*



## მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი თანამდებობიდან გათავისუფლებულია

შს მინისტრის, ვახტანგ გომელაურის ინფორმაციით, ზურაბ ზუბადალაშვილი საკადრო გადაადგილების შედეგად, კადრების განყოფილების განკარგულებაშია გადასული. მისი შემცვლელი კი ჯერ შერჩეული არაა: **„მომსახურების სააგენტოში ზურაბ ზუბადალაშვილი აღარ მუშაობს. ის ამჟამად კადრების განკარგულებაშია და დაინიშნება სხვაგან. რაც შეეხება მის შემცვლელს, ის ჯერჯერობით, შერჩეული არ გვყავს. სხვა საკადრო გადაადგილებები ამ ეტაპზე არ იგეგმება, თუ რაიმე იქნება, აუცილებლად გაცნობებთ".**

*„პირველი"*

# „ეს ჩემი, როგორც გუნდის წევრის ნაკლია"



ნინო კომახიძე, 599-95-33-16

**„ქართული ოცნების" პარტიისა და ფრაქციის წევრის, თამარ კორძაიას გუნდიდან გაშვების საკითხი უმრავლესობის ლიდერმა რამდენიმე დღის წინ დააყენა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელებთან მოაზრებული დეპუტატი „ოცნებაში" რჩება და, როგორც ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს, საკუთარი მოსაზრებები ფრაქციის სხდომაზე დამაჯერებლად დაიცვა. თამარ კორძაია „ვერსიასთან" საკუთარ და კოალიციის მინუსებზე, კოლეგების სკანდალურ განცხადებებსა და რესპუბლიკელებთან მეგობრობაზე საუბრობს.**

## რომელი დეპუტატების სულისკვეთება ემთხვევა რუსეთისას და რატომ ითხოვდა საგანელიძე ფრაქციის სხდომაზე თამარ კორძაიას გაშვებას

**— გოგი თოფაძემ ყურადღება კიდევ ერთხელ მიიქცია, როცა განაცხადა, რომ „ენჯეობი" ქვეყნიდან უნდა განიდევნოს. არასამთავრობოები გრანტიჭამიებად და გადამტრიალებლად მხოლოდ მას არ მიაჩნია. ემიჯნებით თუ არა თქვენი თანაგუნდელის განცხადებებს?**

— არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ასეთი დამოკიდებულება რუსეთისა და მსგავსი ტიპის არადემოკრატიული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. დემოკრატიული ქვეყნები კი არასამთავრობოებს არათუ აგინებენ, მათი საქმიანობის მიმართ მადლიერებასაც გამოხატავენ. არ ვამბობ, რომ არასამთავრობოები ყოველთვის მართლები არიან, მაგრამ უმეტესობა ცოდნაზე, გამოცდილებასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე დგას. არც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა დაგვავიწყდეს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ფინანსურ, ინტელექტუალურ დახმარებას უწევენ; ამიტომ დეპუტატის მხრიდან მსგავსი მსჯელობა ქვეყანას სარგებელს არ მოუტანს. თუ საქართველოში რამე დადებითი ხდება, ამაში არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი წილიცაა. მათზე ასე საუბარი მიანიშნებს, რომ ვიღაცის სულისკვეთება ძალიან ახლოსაა რუსეთის სულისკვეთებასთან.

**— ეს „ვიღაც" თქვენი კოალიციის წევრია, რომლის განცხადებით, ნატო-ში გაწევრიანება კოალიციის პრიორიტეტი არ არის.**

— 2 დღის წინ პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ამ განცხადებებს კარგად გამოეხმაურა: გოგი თოფაძეს არ აქვს შესაძლებლობა, ქვეყნის პრიორიტეტი და კურსი შეცვალოს. ალბათ, როცა ამას ამბობდა, ჩემნაირ დეპუტატებზე ფიქრობდა, ვინც ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციისკენ მივისწრაფით. ჩვენ ბევრნი ვართ და ერთეულები ამ პოზიციას ვერ შეცვლიან.

**— სხვათა შორის, ევრაზიულ კავშირზე ჯერ ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა, სამ არასამთავრობო ორგანიზაციასაც დაემუქრა, ამის შემდეგ კი იგივე განცხადებები გოგი თოფაძემ გააკეთა — ეს საინტერესო არაა?**

— კარგია, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავისი განცხადებები, რაც მანამდე ყველამ არასამთავრობოებზე თავდასხმად აღიქვა, დააზუსტა. როცა შეახსენეს, რომ სამივე არასამთავრობო 2012 წლამდეც სერიოზულად მუშაობდა ქვეყანაში ვითარების შესაცვლელად, მადლობაც გადაიხადა. ამის მერე მსგავსი განცხადებების გაკეთება თოფაძის მხრიდან, ინდივიდუალური დამოკიდებულებაა და არა კოალიციისა. ეს ტენდენცია არ უნდა განვითარდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, ყველას დავანახოთ, რამდენს მუშაობენ არასამთავრობოები ხელისუფლების მხარდასაჭერად, თუნდაც რეფორმების კრიტიკისა და საკუთარი წინადადებების წარმოდგენის პროცესში. დიდი ბოდიში, როცა ხელისუფლებაში ხარ, ეს კრიტიკაც უნდა აიტანო. თუ არ გვინდა, გვაკრიტიკონ, ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდეთ.

**— განსხვავებული პოზიცია ე.წ. მოსმენების ორგასაღებიან სისტემაზეც გქონდათ. 2 დღის წინ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში მოვისმინეთ. ალბათ, უკვე გამოჩნდა, მუშაობს თუ არა ეს ინსტიტუტი. თქვენი შეფასება მაინტერესებს?**

— დღესაც განსხვავებული პოზიციები მაქვს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსტიტუტი რომ ამართლებს, ცალსახაა. მას იმ სისტემას პირდაპირ არ მივაბამ, რაც პარლამენტმა მიიღო. უბრალოდ, საკანონმდებლო დონეზე, ვერ შევქმენით სისტემა, რომლის გაკონტროლების საშუალებაც ქალდანის უწყებას ექნებოდა. არსებობს ძველი ტექნიკური სისტემა, რომელსაც ინსპექტორის გვერდისავლით მოქმედება შეუძლია. ეს იყო ჩვენი წინააღმდეგობის მთელი არსიც. ეს საკითხი დღის წესრიგში ისევ დადგება, როცა შს სამინისტროს და უშიშროების სამსახური ერთმანეთისგან გაიმიჯნება. როგორც ვიცი, მთავრობაში შსს-ს რეფორმაზე მუშაობენ და იმედია, ამ საპარლამენტო მოწვევის ვადებში ყველაფერი მოესწრება.

**— „ოცნებისგან" განსხვავებული მოსაზრებები სხვა თემებზეც გქონიათ. რამდენიმე დღის წინ იმსჯელეს ფრაქციიდან თქვენს გაშვებაზე. ეს საკითხი მოგვარდა?**

— რა თქმა უნდა, ისევ ფრაქციისა და პარტიის წევრი ვარ. ჩემს განსხვავებულ პოზიციებზე მართლაც ისაუბრეს. საკუთარი შეხედულებები დავასაბუთე. მათი პოზიცია არ მომწონს, მათ კი — ჩემი. სხვა ტიპის საუბარი არ ყოფილა.

**— რა ფორმატში შედგა საუბარი, გითხრეს, რატომ გაქვს განსხვავებული მოსაზრებებიო?**

— არა... საუბარი ფრაქციის სხდომაზე შედგა. რა დავმალო, როცა დავით საგანელიძემ თავად თქვა, მას, როგორც უმრავლესობის ლიდერს, არ მოსწონს, როცა დეპუტატები ჩვენს პრინციპულ პოზიციებს არ ვთმობთ. როცა ფრაქცია და უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც არ ვეთანხმები, ეს შეფასება მათი უფლებაა და მესმის კიდეც. საკუთარ პრინციპებს ვერ გადავლახავ და შესაძლოა, ეს ჩემი, როგორც გუნდის წევრის ნაკლია. ეს ჩემი ადამიანური გადაწყვეტილებაა. მესმის, ასეთ დროს რისკზე მივდივარ, როგორ შეაფასებენ ამას მოქალაქეები.

**— მოქალაქეები თუ საგანელიძე?**

— საგანელიძე უკვე მაფასებს და ალბათ, მომავალშიც შემაფასებს. ეს მისი გადასაწყვეტია. ამ ეტაპზე, პრობლემა არ არის, ვფიქრობ, ჩემი არგუმენტები მიიღეს. ისე, როგორც უმრავლესობის წევრს, უმრავლესობის ლიდერის შეფასება გოგი თოფაძის განცხადებებზეც მაინტერესებს.

**— მოწოდებით, განცხადებებით რესპუბლიკელი ხართ, ახლაც იყო საუბარი, „ოცნებიდან" რესპუბლიკელებში გადადისო. თავიდანვე რატომ აირჩიეთ „ოცნება" და პირდაპირ ამ პარტიაში რატომ არ შეხვედით, ან ახლა, როცა ფრაქციაზე თქვენი საკითხი დადგა, რესპუბლიკელებში გადასვლაზე არ გიფიქრიათ?**

— თინა ხიდაშელსა და დავით უსუფაშვილთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაქვს. თინასთან, განსაკუთრებით, რადგან, როცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში დავიწყე მუშაობა, თინა საია-ს თავმჯდომარე იყო. არაა გასაკვირი, რომ ზოგ საკითხზე ერთნაირი ხედვა გვაქვს. ამ პარტიის ყველა წევრთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, ამიტომ მათთან რომ მაიგივებენ, საამაყო უფროა. თუმცა, სხვა საკითხია მათთან ერთად ფრაქციაში ყოფნა. როცა პოლიტიკაში მოსვლა და დეპუტატობა გადავწყვიტე, ახალი დაპირებებით ახალი ძალა, „ოცნება" მოვიდა და მჯეროდა, იმ ყველაფერს შეცვლიდა, რისი შეცვლა მეც მინდოდა.

**— ამის ახლაც გჯერათ?**

— ამ წუთას, რეფორმა, რომელსაც იურიდიული კომიტეტი და მე ვახორციელებთ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, ამიტომ ნამდვილად არ მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ რაღაცები არ კეთდება. შეიძლება რაღაცები არ მომწონს, თუნდაც კანონი ფარული მოსმენების შესახებ.

**— ალბათ, არც მოსწავლეების გამოყენებით ოპონენტებთან ბრძოლა მოგწონთ, ბავშვებისთვის ნაჩვენებ „ციხის კადრებს" ვგულისხმობ. ბოროტებას ასე უნდა ებრძოლო?**

— ეს ბოროტებასთან ბრძოლა კი არა, თავად იყო ბოროტება. როცა არასრულწლოვანი მიგყავს და მისთვის მავნე პროდუქციას აჩვენებ, ამაზე პასუხიც უნდა აგო! ვერ გეტყვით, რა იყო მიზანი, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, დაუშვებელია. ევროსასამართლომ საგამოფენო დარბაზი იმის გამო დასაჯა, რომ იქ გამოფენილი ზოგი ნახატი სექსუალურ სცენებს შეიცავდა, დარბაზს კი გარედან არ ჰქონდა წარწერა, რომ არასრულწლოვნები არ დაიშვებოდნენ. ჩემ შვილს წამების კადრები რომ ენახა, მასწავლებლების გარდა, პასუხს იმ დარბაზსაც მოვთხოვდი, სადაც კადრები გაუშვეს. განათლების სამინისტრომ კი ამ პროცესში ჩართული მასწავლებლების, მინიმუმ, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დააყენოს, თუ ეს კადრები ნამდვილად აჩვენეს.

**— ნაციონალების აქციის დარბევა, ამ კადრების გაშვება — თითქოს, ეს 21 მარტისთვის ხელისუფლების რაღაც ჯგუფის კონტრქმედებებია. ასეა?**

— 21 მარტს რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ რაც ზუგდიდში მოხდა, ამაზრზენი იყო: 21-ე საუკუნეში ადამიანები საკუთარი აზრის გამოსახატად კომბლებით ებრძოდნენ ერთმანეთს. 21 მარტს, იმის მიუხედავად, ვინც უნდა ჩაატაროს აქცია, შსს-მ აქციის წევრთა უსაფრთხოება უნდა დაიცვას. ევროპის კონვენცია აქციის მასშტაბისა და დამსწრეთა რაოდენობის მიხედვით არ განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ნებისმიერი ძალის პროტესტის უსაფრთხოება. თუმცა ზოგადად, ამ აქციის მოთხოვნა არაბუნებრივი და არასწორია. არ შეიძლება, აქციები მხოლოდ ვიღაცის, სააკაშვილისა თუ „ოცნების" გადადგომის მოთხოვნით ტარდებოდეს. მოთხოვნა შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა კონფრონტაციაზე. ნაციონალებისგან ჩვენს განსხვავებას სწორედ იმით დავამტკიცებთ, რომ მოვლენ უსაფრთხოდ, ილაპარაკებენ, გააპროტესტებენ, თუნდაც მთავრობის დაშლას მოითხოვენ და წავლენ.

# რა შეღავათებს სთავაზობს მთავრობა ბიზნესმენებს რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის პრეზენტაცია სამცხე-ჯავახეთიდან დაიწყო. ირაკლი ღარიბაშვილი ახალციხეს ეწვია და ბიზნესმენებთან შეხვედრაზე, რეგიონის საწარმოო რესურსების შესახებ ისაუბრა. მისი დავალებით, მთავრობის ეკონომიკურმა საბჭომ საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში არსებული რესურსი შეისწავლა, რათა ხელისუფლებამ რეგიონებში ბიზნესისა და ადგილობრივი წარმოების განვითარებას შეუწყოს ხელი. სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, რეგიონების განვითარების პროგრამაში ჩართულია კერძო სექტორი და ადგილობრივი მოსახლეობა.**

## სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური პოტენციალი — სოფლის მეურნეობა, მეწარმეობა და ტურიზმი




საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, რეგიონების სტრატეგიული და ეკონომიკური განვითარების ახალი პროგრამა — „ძლიერი რეგიონი, ძლიერი საქართველო“ დაიწყო. როგორც ირაკლი ღარიბაშვილის პრესსამსახურში განმარტეს, პროექტი რეგიონების ეკონომიკურ აღმავლობაზე, ქალაქების გამოცოცხლებაზე, საწარმოების ამუშავებაზე, ადამიანების დასაქმებასა და მოქალაქეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. მთავრობის მეთაურის დავალებით, ეკონომიკურმა საბჭომ ყველა რეგიონის შესაძლებლობები, მათ შორის ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი შეისწავლა, რათა თითოეული რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ყველა დეტალი გამოიკვეთოს.

ახალი პროექტის პრეზენტაცია სამცხე-ჯავახეთიდან დაიწყო. ამ რეგიონის შესწავლისას სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: სოფლის მეურნეობა, მეწარმეობა და ტურიზმი. **ირაკლი ღარიბაშვილის** განმარტებით, ამ მიმართულებების განვითარება რეგიონს გამოაცოცხლებს და ფეხზე დააყენებს. ორი წლის განმავლობაში, მთავრობის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი კი, რეგიონების განვითარებას ემსახურება: **„კიდევ ერთ ახალ პროექტს ვიწყებთ, რომელიც რეგიონების სტრატეგიული და ეკონომიკური განვითარებისკენაა მიმართული. ეს საქართველოს ეკონომიკური წინსვლისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელმაც რეალური შედეგები უნდა მოგვიტანოს. მას რეგიონების ეკონომიკური აღმავლობა, ქალაქების გამოცოცხლება, საწარმოების ამუშავება, ადამიანების დასაქმება და ჩვენი მოქალაქეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა მოჰყვეს. სამცხე-ჯავახეთის განვითარების პერსპექტივა დამაიმედებელია. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მთავრობა არაერთ პროექტს ახორციელებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს სამცხე-ჯავახეთის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის გამოსაყენებლად და ყველა რესურსის სრულად ასათვისებლად. ამ რეგიონში გამოიკვეთა კარგი შესაძლებლობები მცირე და საშუალო საწარმოების ასამუშავებლად. ამ მხრივ, საინტერესო არჩევანი არსებობს ხე-ტყის დამუშავების, ავეჯის წარმოებისა და ბუნებრივი რესურსების ათვისების მიმართულებით. მაგალითად — ახალციხის მაუდ-კამვოლის საწარმო, ახალდაბის ავეჯისა და ნინოწმინდის სამკერვალო ფაბრიკები... რატომ უნდა იყოს ასეთი საწარმოები გაჩერებული? პირადად ვთავაზობ მხარდაჭერას ყველა ინვესტორს, ვინც ამ საწარმოებით დაინტერესდება“.**

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, სამცხე-ჯავახეთს ტურიზმის მიმართულებითაც საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ამ მხარეში, შეუძლებელია, სამცხე-ჯავახეთის უნიკალობით, მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობითა და გამორჩეული გეოგრაფიული ლანდშაფტით არ მოხიბლულიყო: **„ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია ტურიზმის განვითარებისათვის. ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს ამ დარგით დაინტერესებულ ბიზნესს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალი პროექტის წარმატებით განხორციელება რეგიონს გამოაცოცხლებს, ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობასაც საფუძველს ჩაუყრის. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ამ ახალ პროექტში ჩაებათ, შეიტანოთ წვლილი რეგიონის გაძლიერებაში, რაც ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერების წინაპირობაა. მჯერა თქვენი პატრიოტიზმის, თქვენი შესაძლებლობების. მაქსიმალურად დაგიდგებით გვერდით. გექნებათ მაქსიმალური ხელშეწყობა, თანადაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. გვაქვს უნიკალური შანსი, დავიწყოთ რეალური ცვლილებები რეგიონებში. მხოლოდ ქალაქების განვითარება რეალურ შედეგებს არ მოიტანს“.**

სამცხე-ჯავახეთში, ბიზნესმენებთან შეხვედრისას, ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ის წარმატებული პროექტები, რომლებიც ხელისუფლებამ ბოლო ორი წლის განმავლობაში განახორციელა: **„საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაზღვეულია საქართველოს ყველა მოქალაქე; დასრულდა 82 ახალი ამბულატორიის მშენებლობა, 150 ლარით გაიზარდა და 650 ლარი გახდა სოფლის ექიმების დაფინანსება; იწყება უპრეცედენტო პროგრამა — ჩ ჰეპატიტის ელიმინაცია და ყველა დაავადებულისთვის მკურნალობა ხელმისაწვდომი იქნება; მინიმალური პენსია გახდა 150 ლარი; გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და დევნილების შემწეობა; საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 29 479 დევნილი ოჯახი; „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, 400-მდე დევნილ ოჯახს სახლები შეუსყიდეს; სოციალური პაკეტის ფარგლებში, 46 500-მა დევნილმა ოჯახმა 15 000 000 ლარის დახმარება მიიღო; საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილია 90 ეკომიგრანტი ოჯახი და 1 200 ეკომიგრანტს უკანონდება საცხოვრებელი სახლი; მოსწავლეებმა უფასო სახელმძღვანელოების 1 016 700 კომპლექტი მიიღეს; უმაღლესი განათლების 21 სპეციალობა გახდა უფასო; სრულად დაფინანსდა პროფესიული სასწავლებლის 12 000-მდე სტუდენტი, აშენდა 20-მდე ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 000 სკოლას; 6 რეგიონში, ყოველ მესამე და შემდეგ შვილზე გაიცემა ყოველთვიური დახმარება, მთაში — 200 ლარი, ბარში — 150 ლარი; „სინათლე ყველა სოფელს“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, 2013 წლიდან დღემდე, ელექტროფიცირდა 22 სოფელი; 2013 წლიდან დღემდე, ექსპლუატაციაში 8 ჰიდროელექტროსადგური შევიდა, მთლიანი ინვესტიცია 251 მილიონი აშშ დოლარი იყო; 2013-2014 წლებში, სპეციალური შეღავათიანი პირობებით, თვეში 25 ლარად, ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა საქართველოს მასშტაბით, სოფლად მცხოვრებ 88 000 აბონენტს მიეცა; ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე 58 სოფელში გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა; ექსპორტი გაიზარდა 13%-ით, ევროკავშირთან — 32%-ით, რუსეთთან — 153%-ით; 2012-2013-2014 წლებში, შემოვიდა 3 მილიარდ 125 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიცია; „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 64 ბენეფიციარი სარგებლობს, პროექტების ჯამური მოსალოდნელი ინვესტიცია, დაახლოებით, 112 000 000 აშშ დოლარია; ამ პროგრამაში ჩართული საწარმოები 2015 წელს, 4 500-მდე ადამიანს დაასაქმებენ; 2012 წლიდან 2014 წლის სამი კვარტლის ჩათვლით, საერთაშორისო ტურიზმიდან 4 525 526 500 აშშ დოლარი შემოვიდა; გაკეთდა 54 კმ ახალი გზა და აშენდა 19 ახალი ხიდი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 554 კმ გზასა და 87 ხიდს; გარემონტდა 573 ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რეაბილიტირებულია 3 000 კმ სარწყავი არხი; 35 მუნიციპალიტეტში განხორციელდა სასმელი წყლით მომარაგების 53 პროექტი; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, გლეხებმა უსასყიდლოდ მიიღეს 107 605 506 ლარის ღირებულების სასუქი, 47 835 368 ლარის ღირებულების შხამქიმიკატები, 8 579 187 ლარის ღირებულების თესლი, 53 704 193 ლარის ღირებულების ინვენტარი, 232 486 ლარის ღირებულების ვეტ-პრეპარატები; ჯამში, 427 765 ჰექტარი მიწის ფართობი მოიხნა; შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, 799 324 000 ლარის ოდენობის 27 713 სესხი გაიცა; გაიხსნა 105 ახალი საწარმო და გადაიარაღდა 580; სოფლის მეურნეობაში დაფინანსებულ საწარმოებში, 10 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი უკვე შეიქმნა; ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფო სუბსიდიის დახმარებით, გლეხებისგან უკვე შესყიდულია 218 ტონა ყურძენი; მევენახეებმა 2 წლის მანძილზე, შემოსავლების სახით, 289 მილიონი ლარი მიიღეს; სამეგრელოს რეგიონში, თხილის რეალიზაციის შედეგად, დაახლოებით, 200 000 000 ლარი შევიდა; პრემიერის ინიციატივით, განათლების საერთაშორისო ცენტრმა, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, 87 სტუდენტის სწავლა დააფინანსა“.**

ექსკლუზიური ვერსია



# მევახშეობა ქართულად — როგორ ასახლებს ბინიდან ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ბიზნესმენს

ლევან ღვინიაშვილი

წინა ხელისუფლებისგან დაზარალებული არაერთი ბიზნესმენი მოქმედი ხელისუფლების უმოქმედობას გადაჰყვა. პრინციპში, რაღა უმოქმედობას, დაპირებული დაბალპროცენტიანი კრედიტები დაპირებად დარჩა და შედეგად, კაბალური პირობებით მოგებული ტენდერები ბიზნესმენებს, უბრალოდ, „შეეტენათ“. ამას ხელი მოქმედი ხელისუფლების ასევე მოქმედმა მაღალჩინოსნებმაც შეუწყვეს და სხვის ხარჯზე პირადი ქონება გაზარდეს. შემთხვევა, რომელზეც მოგითხრობთ, ერთი შეხედვით, არასტანდარტულია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ საქმეში ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსანი, სსიპ მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე, გიორგი, იგივე გელა ხანიშვილი ფიგურირებს. იგი კერძო მევახშეობითაა დაკავებული და ადამიანებს სახლებს ართმევს.

სამშენებლო კომპანია „ემ ჯი ენდ კომპანის“ დამფუძნებელმა, ზურაბ მახოხაშვილმა ტენდერი წინა ხელისუფლების პირობებში მოიგო და ფინანსური კრიზისი უკვე ახალი ხელისუფლების დროს, 2013 წელს დაუდგა. უფრო ზუსტად კი, 2012 წლის დეკემბერში, როცა ხელისუფლება ორიოდე თვის შეცვლილი იყო, მახოხაშვილს სასწრაფო წესით 75 ათასი დოლარი დასჭირდა. იგი „ნოვა კრედიტში“ მივიდა. რადგან ფულის სესხება, როგორც კერძო პირს ისე სურდა, „ნოვა კრედიტმა“ უარი უთხრა და მხოლოდ 30 ათასი ლარი შესთავაზა. სამაგიეროდ, „ნოვა კრედიტში“ მახოხაშვილს „განუმარტეს“, რომ ვინმე გელა ხანიშვილი კერძო პირებს, უძრავი ქონების უზრუნველყოფით, საჭირო თანხას გასცემდა. ისე, სასხვათაშორისოდ, ეს ვინმე გელა ხანიშვილი იმ დროსაც და დღემდეც „ნოვა კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.

მახოხაშვილი ხანიშვილს შეხვდა, თუმცა ბატონმა გელამ პირდაპირ კი არ ასესხა თანხა, მსესხებლად ვინმე ნატალია პავლიაშვილი გააფორმა, თუმცა საბუთზე ხელი თავადაც მოაწერა, როგორც პავლიაშვილის პარტნიორმა. სესხი ერთი წლით და თვეში 4%-ით გაიცა, ანუ მახოხაშვილს ხანიშვილისთვის წლიური 48% უნდა გადაეხადა, სანაცვლოდ კი, მშენებელმა ნუცუბიძეზე მდებარე ბინის ნაწილი ჩადო, რომელშიც თავად ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

**„ბინა 350 კვადრატულია და შესაბამისად, მხოლოდ 200 კვადრატული ჩავდე. პირველი ორი თვის განმავლობაში პროცენტს პატიოსნად ვიხდიდი, თუმცა შემდეგ სახელმწიფომ, ტენდერის გამო, უსამართლო ჯარიმები დამაკისრა და პროცენტის გადახდა ველარ შევძელი“,** — ყვება **ზურაბ მახოხაშვილი.**

ხანიშვილმა იჩივლა და სასამართლომ მახოხაშვილს 110 ათასი დოლარის გადახდა დაავალა.

**„ვიცოდი, სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანდა, თუმცა მშვიდად ვიყავი. ჩემი ბინა საკმარისზე ძვირი ღირდა და მეგონა, ხანიშვილთან მოლაპარაკებას შევძლებდი. ამიტომ, პროცესის დასრულების შემდეგ, მასთან მივედი და ვუთხარი, ბინას გავყიდი და შენ 110 ათასს გაგისტუმრებ, დანარჩენი თანხით კი სადმე ვიყიდი რამეს, ცოლ-შვილი გარეთ რომ არ დამრჩეს მეთქი“,** — ამბობს **მახოხაშვილი.**

გარიგების სანაცვლოდ, ხანიშვილს მადა გაეზარდა და 110 ათასი დოლარის ნაცვლად, ბიზნესმენს 170 ათასი დოლარი მოთხოვა, სასამართლოს მერე დრო გავიდა და პროცენტები გაიზარდაო. ამხელა თანხას მახოხაშვილი ვერ გადაუხდიდა და ხანიშვილმა 200 კვადრატი ნატალია პავლიაშვილის სახელზე გადააფორმა, თუმცა ბოლომდე მასაც არ ენდო და ეს გადაფორმებული ნაწილი იპოთეკით დაუტვირთა, ბინის გადაფორმება არ იკმარა და ცოტა ხნის შემდეგ ბინაში აღმსრულებლები და მუშები მიიყვანა და... შუა სახლში კედელი ამოაშენა, ჩემი ორასი კვადრატი მინდაო.

**ზურა მახოხაშვილი: „შუა სახლში, სადაც ოჯახით ვცხოვრობ, ამომიშენეს კედელი ყოველგვარი სამშენებლო და სანიტარული სტანდარტების დარღვევით. ახლა შუა სახლში კედელი მაქვს, ხანიშვილის მხარეს სამი სველი წერტილია, ჩემს მხარეს კი ერთი დარჩა. გაყიდვითაც ველარ ვყიდი, გამიჯვნის გამო არავინ ყიდულობს და არ ვიცი, მომავალში რა იქნება“.**

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მახოხაშვილის შემთხვევა არც პირველია და არც ერთადერთი. ჯამში, „ნოვა კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გელა ხანიშვილს ასამდე თბილისელი ჰყავს ამ დღეში ჩაგდებული და ბინებიდან ხალხს მარტივად ყრის — ამაში მას სამსახურიც ეხმარება და ის გავლენაც, რომელიც სწორედ ამ სამსახურის გამო აქვს.

აქ წერტილის დასმა მარტივად შეიძლება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ხანიშვილის „მოღვაწეობას“ ბოლოში მრავალწერტილი აქვს და არავინ იცის, ვინ მოგვაკითხავს კიდევ ანალოგიური ისტორიით. მანამდე კი იცოდეთ, ნუცუბიძეზე ხანიშვილის მიერ აგებული ბერლინის კედელი არსებობს.

პატიმარი №0578

# 20-წლიანი „სროკი“ წიგნის ქურდობისთვის

## რა „დაკითხვა“ მოუწყვეს ახალ პატიმარს ზონის მაყურებლებმა და რატომ მოითხოვა სხვა ციხეში გადაყვანა გალაქტიონმა



შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ ერთადერთი დაწესებულება, რომელიც ციხეს მკითხველთა რაოდენობით აჯობებს, საჯარო ბიბლიოთეკა იქნება. პრინციპში, იქნება კი არა იქნებოდა — სოციალურმა ქსელმა ისე „შეჭამა“ მკითხველი, წიგნის შრიალი საჯაროშიც სანატრელი გახდა. სამაგიეროდ, ციხეში წიგნი და გაზეთი შეუცვლელია და ნურავის გაუკვირდება, თუ სამი კლასის განათლების მქონე პატიმარი, მოულოდნელად, ნიცშეს, ჰეგელის, ფროიდის ან ჰომეროსის ტექსტებით ამეტყველდება. ქართველ კლასიკოსებზე საუბარიც არ არის — უკლებლივ ყველა პატიმარს წაკითხული აქვს მინიმუმ, ქართული კლასიკიდან ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და უცხოურიდან — მარიო პიუზოს „ნათლია“. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ინტერესით შეხვდებოდნენ პატიმრები ზონაზე მიყვანილ მსჯავრდებულს, რომელსაც ოცი წელი, არც მეტი, არც ნაკლები, წიგნების ქურდობისთვის ჰქონდა მისჯილი. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, მასთან გასაუბრება მაყურებლებმა ისურვეს.

„რა იყო, სიმონ, იმ წიგნში კიბოს წამალი ხომ არ ეწერა?! რა მეიპარე ამნაირი, შვიდი ეპიზოდი დამიმტკიცეს და ოცი წელი მაინც არ მოუციათ, პროკურორის ცოლს ხმარობდი თუ მოსამართლისას?! რა დააშავე ასეთი?!“ — ქუთაისის მაყურებელმა წიგნის ქურდს, რომელსაც სხვათა შორის, პოეტური სახელი, გალაქტიონი ერქვა, რამდენიმე კითხვა ერთბაშად დაუსვა.

გალა (პატიმრებმა გალაქტიონი მაშინვე შეამოკლეს) დაიბნა, მიხვდა, მაყურებლების კამერაში რომ იყო, ზედმეტს ვერაფერს იტყოდა, არადა, აშკარა იყო, ზონის ელიტა საღადაოდ იყო განწყობილი.

„არა, ჩვეულებრივი წიგნი იყო, უბრალოდ ძველი“, — ამოილუღლუღა გალამ.

„აუფ, აი სულ აბდალი ყოფილა. წიგნი მევიპარო და ისიც ძველი? ძველი, ბიჭო, შარშან რომ ნასკი მაჩუქა ზონის მაყურებელმა, იგი არ მინდა. პროსტა, საჩუქარია და არ ვაგდებ თორემ... ძველი წიგნი რად გინდოდა? ასოები იქ არ ჩანს და ნახატები და მაკულატურაში კიდევ მოპარული წიგნები რომ არ ჩაგებარებინა, ფული მოგეპარა პირდაპირ, ქაღალდისაა იგიც“, — ხმა გურიის რეგიონის მაყურებელმა ამოიღო. გალამ ისევ ჩაღუნა თავი და ჩუმად ამოილუღლუღა: „არა, ანტიკვარი წიგნები იყო“.

„კარგი, ეს გასაგებია, მაგრამ გალა ვინ დაგარქვა, გაფიცებ იმ წიგნების მცველს, მითხარი. ბიჭო, პიკასოს ნაშის სახელი რომ არ დეირქვა, ცოტაა მეტსახელი? ამ თავგასიებულს რომ უყურებ, პაჭიკიჩი ჰქვია, ამას რომ უყურებ, ვარა, იგერ წივილა ზის... გალა რა პონტია? გალა და ქეთინო თუ გინდა, არიან საქათმეში, დოუძახე ხანდახან და გალაც იქნება, ქეთინოც და რა ჰქვია, ბიჭო, იმ ჩვენს მცველს?“ — იკითხა ზესტაფონელმა შოთიამ.

„რომელ მცველს, გოგას, გოჩას თუ ირაკლის?!“ — გაეპასუხა მეორე ზესტაფონელი.

„აი სულ დებილი რავაა, გადავირიე კაცი. ქალი მცველი რომ გვყავს, ხელოვნური წამწამები და სილიკონის ტუჩები რომ აქვს, მინისტრი, ბიჭო, რა“, — გაწიწმატდა ზესტაფონელი.

„ხათუნა კალმახელიძე“, — ამოილუღლუღა გალამ.

„ა, ბიჭო კაცი. სცოდნია და კითხე, თუ გინდა. მარა, კაცი რომ წიგნების გულიზა ოცწლიან სროკზე წამოვა, კი უნდა იცოდეს რაცხა-რაცხები. არა, მაინც რა ეწერა იმ ანტიკვარ წიგნებში, არ იტყვი? თუ, ვერ მოასწარი წაკითხვა? ისე, ჯერ რომ წაგეკითხა და მერე მოგეპარა, კი იქნებოდა უკეთესი. რა იცი, იქნებ იმნაირი სისულელე ეწერა, არც ღირდა ციხედ, რას იტყვი ა?!“ — არ მოეშვა გალას იმერელი.

„არ ვიცი, არ წამიკითხავს“, — გალა მთლიანად მოტეხილი იყო.

„კარგი და, ვერ უთხარი მერე, ჩამიდეს წიგნი ამ ოჯახქორებმა თქო?! ისე, წაუკითხავში 20 წელს აძლევენ და წაკითხული რომ ჰქონოდა, მოპარული ნივთის მოხმარებისთვის კი მიარჭობდნენ სამუდამოს. რომ წაეკითხა, რა მუხლით გაასამართლებდნენ ნეტავ?!“ — ჰაერში დაკიდა კითხვა ქუთაისელმა.

„რა მუხლით და წიგნის გაუპატიურებისთვის. პრინციპში, ბოლომდე თუ ვერ წაიკითხავდა, გაუპატიურების მცდელობისთვის გაასამართლებდნენ, კი წავიდოდა საქათმეში და მერე გალაც მოუხდებოდა და ქეთიც“, — გაიკრიჭა ზესტაფონელი.

„ისე, ამ ქეთის ხშირად ვახსენებთ და ვისი შემოგდებულია?!“ — დაინტერესდა ზონის მაყურებელი.

„ჩემი, ჩემს ნაშას ერქვა გარეთ ქეთია... იცი, რა გოგო იყო? ფეხები ყურებიდან ეწყებოდა“, — ოცნებაში ჩაიძირა ზესტაფონელი.

„დაღუპულხარ შე აბდალა. ფეხები თუ ყურებიდან ეწყებოდა, ტუჩის მაგივრად სად კოცნიდი თუ ხვდები ნეტავ?!“ — შეწუხდა გურული კრიმინალი.

„ა ბიჯო, ერთი-ორი ამნაირი მოწმე და შენც საქათმის პასაჟირი ხარ. ისე, იმ ქალს ფეხები რომ ყურებიდან ეწყებოდა, ძუძუ არ ჰქონდა, თუ შენ ფეხებზე გეკეტება და დანარჩენი არ გაინტერესებდა? და ის თქვი კიდო, ყურების საწმენდი ჩხირებით, რას იწმენდდა თუ კაცი ხარ, ნუ დამტოვებ უყურადღებოდ, მთელი არსებით გისმენ“, — ახლა ქუთაისელმა ამოიღო ხმა და ისე შესწორდა ნარზე, თითქოს მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ამბის მოსასმენად მოემზადაო.

„რა უნდა გელაპარაკოთ, რა იცით თქვენ ქალის? ქალი სიზმარში თუ გეყოლებათ ნანახი, თორემ ისე თქვენ ფეროს ტრუბიდან არ დაგანახებს თავმოყვარე მანდილოსანი. ასე არ არის, პატივცემულო?!“ — ზესტაფონელი გალას მიუბრუნდა და მისი მოწმედ დაყენება მოინდომა.

„არ ვიცი“, — სულ დაიბნა გალა.

„რა არ იცი, ფეროს ტრუბა რამსიგრძეა თუ, ამათ დაანახებს თუ არა ვინმე იქიდან რამეს?!“ — ჩაეკითხა ზესტაფონელი.

„არაფერი ვიცი“, — გალა სატირლად გაემზადა.

„გადამრევს ეს კაცი. არაფერი რომ არ იცი, ადვილი მისახვედრია. ისე წიგნს რა მოგაპარინებდა, მარა ამ კონკრეტულ შემთხვევაზე აზრი არ გაქვს? ხომ ხედავ, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს თემა რეგიონების მაყურებლებისთვის. ისე, იცი შენ მაყურებელი რაა? აგერ, იმ ქუთაისელს რომ უყურებ, იგი არ გეგონოს მაყურებელი, ის სულელია, ასე ღრეჭა-კრეჭვით ატარებს მთელ დღეებს. ასე ამბობს, ჩემი ოჯახი ქურდულიაო და არც დედა უნდა და არც მამა. არც იმათ უნდათ პრინციპში, მაგრამ ეგ სხვა დროს ვილაპარაკოთ. ამათ იმედად არის ა, რომ უყურებ და ამათ თითოს რომ მოპარული აქვს, შენი წიგნის ფურცლები არ ეყოფა. ისე, სქელი იყო თუ თხელი?!“ — ისევ დაინტერესდა ზესტაფონელი.

„რა სქელი და თხელი?!“ — სულ დაიბნა წიგნის ქურდი.

„რა ვერ გაიგე, ციხეზე რომ ქამარი გადაგიჭირეს ზურგზე, იმას გეკითხები, სქელი იყო თუ თხელი-მეთქი?!“ — ისე გაიოცა ზესტაფონელმა, ლამის სხვებმაც დაიჯერეს, რომ ამას ეკითხებოდა.

„ციხეზე ქამრით არ უცემივარ“, — ამოილუღლუღა გალამ.

„აუ, აგი მოგზავნილია, ბოზისშვილი ვიყო. რას ჰქვია, ქამრით არ უცემიხარ, აბა რითი გცემეს?!“ — „გაოცდა“ ქუთაისელი.

„ხელს მირტყამდნენ. კარანტინში პლასტმასის შლანგს და დუბინკას, კამერაში ხელს და ფეხს. ქამრით არ უცემივარ“, — დააზუსტა გალამ.

„გაგინებდნენ?!“ — „შეწუხდა“ ქუთაისელი.

გალამ თავი დააქნია.

„ჰოდა, თუ არ მოგვიყვები იმ წიგნში რა ეწერა, გინება და ცემა აქ ნახე შენ. ოცი წელი რომ არ მოეცათ, კი არ დავინტერესდებოდით ასე, მაგრამ ძალიან ბევრი მოგარჭვეს და ამიტომ გვაინტერესებს. ჰე ახლა, დაიწყე და თუ წაკითხული არ გაქვს, ისეთი რამე მოიფიქრე, ოც წლად რომ ღირდეს შე უბედურო“, — „გაამხნევა“ ქუთაისელმა.

„ძველი ხელნაწერები იყო, რამდენიმე საუკუნისწინანდელი, ამიტომ ფასობდა ძვირად. არ წამიკითხავს, ძველი ქართულით იყო ნაწერი“, — გალა ისევ სატირლად გაემზადა.

„აუფ, ამას „გალობანი სინანულისანი“ მოუპარავს და ეგ არის“, — შეიცხადა ზესტაფონელმა.

„ვისი გალობა?!“ — გაოცდა ზონის მაყურებელი.

„გალობა არა, კვნესა უფროა. გალობანი სინანულისანი ჰქვია, მაგრამ ეგ ქურდულ კარაბადინში არ წერია, ისე უნდა მოიძიო და ისე უნდა იცოდე“, — გაეღიმა ზესტაფონელს.

„და შენ რა გინდა ახლა თქვა? ოც წლად შეფასებულ წიგნში რა ეწერა, ის გაქვს წაკითხული? გამომივიდა ახლა ესეც არქიმედე“, — ცხვირი აიბზუა ზონის მაყურებელმა.

„არქიმედე რა შუაშია, დედას გაფიცებ“, — აშკარად ინტერესით იკითხა ქუთაისელმა.

„რა ვიცი, ეგეც ძველი ტიპი არ არის, წინა საუკუნეებში არ წერდა?!“ — დაიმორცხვა ზონის ნომერპირველმა პატიმარმა.

„ხედავ, გალა, ძმაო, რა დღეში ვარ და ვისთან ერთად მიწევს სასჯელის მოხდა? შენ კიდევ იმ წიგნის ისტორიას მიმალავ და მანერვიულებ. ახლავე მოყევი, თორემ სისქე-სიგანეს მე განახებ ახლა“, — თქვა ზესტაფონელმა და ნარიდან ჩამოხტა.

გალამ სახეზე აიფარა ხელი და...

„აი მშიშარაც ყოფილა. შეეშვი, დაწყნარდეს, თუ ვერ გაიხსენებს, იმ წიგნში რა ეწერა, ვაცადოთ ცოტა. მე შენ გეტყვი და საფიქრად დრო არ მისცეს თუ წელი. წელს ვერ მოიფიქრებს, გაისად მოიფიქრებს, ვერა და იმის გაისად და ასე იქნება კაი ხანს. მერე, იმდენს რომ დაჯდება, ისეთი ქალები რომ დაესიზმრება, ფეხები ყურებიდან რომ ეწყებათ, მიხვდება, წიგნი სკოლაში უნდა მეკითხა და არ უნდა მომეპარაო, მაგრამ რაღა დროს. წადი ახლა, ძამია, შენს კამერაში და სხვა თუ არაფერი, შენებს ერთი-ორი წიგნი მაინც შემოაგზავნინე სკოლის ბიბლიოთეკისთვის, ჩვენ რომ გვიყურებ, აგერ, ბიბლიოთეკაში უკვე ორი ათასამდე წიგნი შევიტანეთ და არცერთი არ არის მოპარული, ყველა ნაყიდია“, — დაარიგა ქუთაისელმა გალა და ისიც კამერიდან წელათრეული გავიდა.

მეორე დღეს გალამ სხვა ზონაზე გადაყვანა ითხოვა და სურვილი დაუკმაყოფილეს. საღამოს ზონის უფროსი მაყურებლების კამერაში შევიდა და აუწყა, გალამ განცხადებაში დაწერა, ზონის მაყურებლები მასხრად მიგდებენო.

„მასხრად მაგას გლდანში იგდებდნენ, დღეში სამჯერ რომ უტყაპუნებდნენ, ჩვენ ცხოვრებას ვასწავლიდით, მაგრამ არ მოინდომა. მართლა არ ჰქონია ის წიგნი წაკითხული მაგ აბდალს“, — თავი ჩაქინდრა გურიის რეგიონის მაყურებელმა.

## ვერსიანიუსი

### შსს-მ 159 აბი „ბიო“ ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მამა-შვილი — 1971 წელს დაბადებული ლევან რ. და 1991 წელს დაბადებული ლუკა რ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა ლუკა რ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 110 აბი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 36,3 გრ ტრიპტამინის ნაერთთა კლასს შეიცავს, ასევე ამოღებულია 18,8388 გრ კანაფის ფისი და 2,5681 გრ გამომშრალი მარიხუანა. ლევან რ-ს პირადი ჩხრეკისას ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველი 49 აბი ამოიღეს, რომელიც 2,3048 გრ ფენეთილამინის ნაერთთა კლასს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, ორივე დაკავებულს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდათ. გამოძიება ლევან რ-ს მიმართ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის, ხოლო ლუკა რ-ს მიმართ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

### შსს-ს წარმომადგენლებმა ბათუმის 25-ე საჯარო სკოლაში „სამართლებრივი კულტურის“ გაკვეთილი ჩაატარეს



შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მონაწილეობას მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტში „სამართლებრივი განათლების პროგრამა“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, თამაზ აბაშიძე და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, თამარ ჯანელიძემ ბათუმის 25-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებს „სამართლებრივი კულტურის“ გაკვეთილი ჩაუტარეს. „სამართლებრივი კულტურის“ გაკვეთილები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაცია PH INTERNATIONAL-ის ერთობლივ პროექტ — „სამართლებრივი განათლების პროგრამის“ ფარგლებში, ბათუმის 5 საჯარო სკოლაში რამდენიმე თვის განმავლობაში, კვირაში ერთხელ ტარდება. შსს-ს წარმომადგენლები, რომლებიც „სამართლებრივი კულტურის“ გაკვეთილებს პერმანენტულად ატარებენ, სპეციალურად არიან გადამზადებული აღნიშნული პროგრამისთვის. გაკვეთილები ინტერაქტიულია, მოიცავს თამაშებს. პროგრამა მოსწავლეებში სამართლისა და მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის ამაღლებას ისახავს მიზნად. სწავლება მეცხრე კლასის მოსწავლეთათვის ტარდება შემდეგ თემებზე: სამართლებრივი კულტურის არსი და მნიშვნელობა; არასრულწლოვანი და კანონი; ძალადობა — ძალადობა ოჯახში, ბულინგი სკოლებში; მავნე ჩვევები და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა; ორგანიზებული დანაშაული (ტრეფიკინგი, ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობა); სასამართლო სამართალწარმოება. აღნიშნული პროექტი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. „სამართლებრივი კულტურის“ გაკვეთილები ტარდება თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ახალციხის საჯარო სკოლებშიც.

2013-2014 სასწავლო წელს პროგრამა ადგილობრივი უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებისა და სკოლის პედაგოგების მიერ საქართველოს 32 საჯარო სკოლაში განხორციელდა. სწავლება ჩატარდა თბილისის მე-17, ახალქალაქის მე-5, ფოთის მე-5 და თელავის მე-5 საჯარო სკოლებში.

*„ვერსიანიუსი“*

# მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალების ხისტი მეთოდები ჩვენთვის მიუღებელია“



ნინო კომახიძე, 599-95-33-16

**„ივერია“ პოლიტიკურ სივრცეში არცთუ ამბიციური განაცხადით, დამოუკიდებელი გაზეთის ფორმით შემოვიდა, მოგვიანებით, ორგანიზაციის სახე მიიღო და ლიდერებმა — გრიგოლ ვაშაძემ, ნიკა რურუამ, მამუკა გამყრელიძემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ და სხვებმა პოლიტიკური განცხადებების კეთება აქტიურად დაიწყეს, ხოლო რამდენიმე დღის წინ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბება და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა დააანონსეს. საკუთარ გეგმებსა და შეფასებებს „ვერსიას“ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე უზიარებს.**

— „ივერია“ საზოგადოებრივი მოძრაობაა, ცალკე გაკეთდება პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენს მოძრაობაში ყველა შემდგარი პიროვნებაა, თავისი ბეგრაუნდით. გვყავს ერთი გამოკვეთილი ლიდერი გრიგოლ ვაშაძე, რომელმაც ამ იდეის გარშემო შეგვკრიბა; უდიდეს როლს თამაშობს ნიკა რურუაც. ჩვენი თვითმიზანი პარლამენტში მოხვედრა არ არის — ქვეყნის წინსვლა გვსურს. არჩევნებამდე საზოგადოებრივ მოძრაობაში ვრჩებით და ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა, კოლაბორაციონისტების გარდა.

**— ვინ არიან კოლაბორაციონისტები ქართულ პოლიტიკაში?**

— მაგალითად, ნინო ბურჯანაძე, არჩილ ჭყოიძე... არც კახა კუკავას დეკლარირებული პროდასავლურობა მაინტერესებს, როცა რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს; ასევე გოგი თოფაძე და ყველა, ვინც ევრაზიული მიმართულების მომხრეა. მუშაობას ვერც თეა წულუკიანთან შევძლებთ, ვინც იმით ამაყობს, რომ ჩინელი, არაბი და ირანელი ტურისტების ნაკადი შემცირდა; ვერც ნოდარ ჯავახიშვილთან, რომელიც ამბობს, ბევრი ტურისტი ქვეყნისთვის კარგი არ არისო...

**— ცოტა ამბიციური განაცხადია, რომ ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა, სავალუტო, პოლიტიკურმა კრიზისმა პოლიტიკაში მოსვლა გაიძულათ. ვითარებიდან გამოსავალი იცით?**

— დიახ, ვიცით! უპირველესად, ის გვაწუხებს, რომ სახელმწიფო, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ჩინოვნიკების მომზადებაში, პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში დიდ დროსა და ფულს ხარჯავს. მერე ახალი პოლიტიკური ჯგუფი მოდის, ამ ჩინოვნიკებს ყრის და პოსტებზე მეზობლები, მეგობრები მოჰყავს. ასე უზარმაზარ დროსა და რესურსს ვკარგავთ. მინისტრთა კაბინეტი რომ იცვლება, გასაგებია, მაგრამ მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები... არ უნდა იცვლებოდნენ, რათა ტემპი, ცოდნა და გამოცდილება არ დავკარგოთ. გვინდა, ჩინოვნიკების კლასი ჩამოყალიბდეს, რომელიც პარტიული ინტერესების მიღმა მოექცევა. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, იგივეს არ გავაკეთებთ. მეორე, რასაც შევცვლით, ხალხთან ურთიერთობაა. ამიტომ არ გვაქვს ვიწროპარტიული პლატფორმა და ვრჩებით საზოგადოებრივ მოძრაობად: ვიწვევთ სპეციალისტებს, რადგან არ გვინდა, პროგრამა და ხმაურიანი თეზისები თავად დავწეროთ — მაინც არავინ კითხულობს. იდეები ხალხისგან უნდა მოდიოდეს და შესრულებადი იყოს.

**— პრაგმატულ და მინიმალისტურ პროგრამას ვინ მოგიწონებთ, სააკაშვილის პიარხერხებისა და ივანიშვილის მილიარდების შემდეგ?**

— ჩვენი მიზანიც ესაა — უნდა აღვზარდოთ საზოგადოება, რომელიც პროგრამების კითხვას, ანალიზს დაიწყებს და გააზრებულ არჩევანს ამის მიხედვით გააკეთებს.

**— ანუ ახლა „გადარჩენის გეგმა“ მზად არ გაქვთ?**

— გადარჩენის გეგმა მზადდება, ყველა თემას სპეციალისტებსა და დარგობრივ ასოციაციებთან ერთად ვაანალიზებთ. მიმართულებებიც დაყოფილი გვაქვს — მე სოფლის მეურნეობაზე ვმუშაობ. ამ ქვეყანაში ბელადომანია უნდა დასრულდეს და ხალხი იდეის გარშემო შეიკრიბოს.

**— თქვენი მოძრაობის მთავარი იდეა რა არის?**

— ჩვენი ძირითადი სურვილი და სტრატეგია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციაა. გარდა ამისა, რეალისტური ეკონომიკური პროგრამა გვექნება.

**— არ მიწყინოთ, მაგრამ ნაციონალ ექსპერტებად უფრო ასოცირდებით, ვიდრე დამოუკიდებელ ძალად. ხშირად გვესმის, ბოკერია-თარგამაძისა და სხვა ნაციონალების „ჩაჩოჩება“ ნაკლებად ოდიოზური ლიდერებით მოხდებაო. შესაძლოა, ბევრმა ამ ამპლუაში სწორედ თქვენ დაგინახოთ, არ მეთანხმებით?**

— გივი თარგამაძისა და გიგა ბოკერიასადმი დიდი პატივისცემისა და იმის მიუხედავად, რომ პატრიოტები არიან, მათ ძალიან ხისტი პოლიტიკა გაატარეს. მსგავსი მეთოდები ჩემთვის მიუღებელია. როცა „იმედში“ შეცვივდნენ, რუსეთში ვცხოვრობდი და მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოვედი, რათა საპროტესტო აქციებში მიმეღო მონაწილეობა.

**— ანუ ნაციონალების განაყოფი არ ხართ?**

— ნამდვილად არა. ისინი მიზნებისკენ ხისტი მეთოდებით მიდიოდნენ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ 9 წელი აღმშენებლობის ხანა არ იყო. რაც კარგი იყო, უნდა გამოვიყენოთ და „ოცნების“ მოქმედებებშიც ვეძებოთ დადებითი მარცვალი. 9 წლის განმავლობაში ნაციონალები შიშს თესდნენ, ამიტომ დღეს რომ ხალხს ჰგონია, აღარ გვისმენენო, ძალიან კარგია.

**— პრეზიდენტთან, ალასანიასთან, რესპუბლიკელებსა და ნაციონალებთან მუდმივად ერთ პოლიტიკურ ბანაკში რის საფუძველზე გაჯგუფებენ?**

— სრული პასუხისმგებლობით ვამბობ — ამ ეტაპზე არანაირი კონსულტაცია, მოლაპარაკება და დაჯგუფების მცდელობა არავისთან გვაქვს. ალბათ, ასეთია ხალხის სურვილი — ისევ დასავლეთისკენ წავიდეთ და ამ გზაზე, ერთად არაოდიოზური ლიდერები დაინახოს.

**— იქნებ პირიქით, პროდასავლურ, მაგრამ ივანიშვილის მოწინააღმდეგე ოპოზიციის რანგში გაჯგუფებენ?**

— ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, თუმცა რაღაც თემებზე ვერ ვთანხმდებით. ზოგადად, ყველასთან ღია ურთიერთობა გვაქვს, თუმცა ამ ვერსიას ასე შევხედოთ: ირაკლი ალასანია მართლაც პროდასავლური ლიდერია, მაგრამ 2,5 წელი ამ ხალხს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ებარა და ერთ დღეში როგორ შეექმნა საფრთხე ქვეყნის კურსს?! ეს ცოტა გაუგებარია. რესპუბლიკელები საერთოდ კოალიციაში არიან და მათთან, ჯერჯერობით, არანაირი კავშირი არ გვაქვს. პარტიულ ბაზას ვაშენებთ და ვინ იქნება ჩვენს გვერდით, ეს შემდეგი ტაქტიკური ნაბიჯია. მაქსიმუმ 1 წლის ვადაში პროგრამაზე მუშაობას დავასრულებთ, რომლითაც არჩევნებზე 6 თვით ადრე წარვსდგებით; პარალელურად, რეგიონული ოფისების გახსნაზეც ვმუშაობთ.

**— ამას თანხები სჭირდება. ვინ გაფინანსებთ?**

— საკუთარ თავს თავად ვაფინანსებთ. ვაშაძეს და მე საკუთარი ბიზნესი გვაქვს, ამიტომ, ჯერჯერობით, თავის გატანას ვახერხებთ, თუმცა ცხადია, ჩვენი მიზნებისთვის ეს რესურსი არასაკმარისია.

**— ალბათ, ბევრი ფიქრობს, რომ 21 მარტს ნაციონალებს შეუერთდებით. თუმცა, როგორც ვიცი, აქციის მოთხოვნა არასწორად მიგაჩნიათ — რატომ, და ზოგადად, აქციები თუ იქნება თქვენს საბრძოლო არსენალში?**

— მთავრობის გადადგომის მოთხოვნა დაგვიანებულიც კია. ამაზე საუბარი 1 წლის წინ დავიწყეთ, თუმცა მაშინ ვამბობდით, რომ მთავრობის დაშლის მერე კოალიციური მთავრობა და ე.წ. გადარჩენის კომიტეტი უნდა შეიქმნას. ნაციონალებს ეს გაგრძელება აღარ აქვთ. აზრი მე და ნიკა ვაშაკიძემ სოციალურ ქსელშიც გამოვხატეთ და ნაციონალების მხარდამჭერებისგან ბევრი ქვაც მივიღეთ. ახლაც ვფიქრობ — დესტრუქციული მოთხოვნის მერე, რაღაც კონსტრუქციული გამოსავალი თუ არ იცი და ხალხს ვერაფერს სთავაზობ, მოთხოვნა აზრს კარგავს. როცა საპარლამენტო უმრავლესობა უმცირესობას არ ელაპარაკება, სხვა გზა აღარ რჩება და ქუჩაში უნდა გამოვიდნენ, მაგრამ არ მესმის, „გადადექი“-ს მერე რატომ აღარაფერი ჩანს. ერთ-ერთი მიზეზი, აქციას რომ არ ვუერთდებით, ისიცაა, ჩვენი სამეზობლოს გამო, ისედაც ექსცესების მოლოდინში ვართ, ვითარების შიდაპოლიტიკური რყევებით დამძიმება კი არასწორი და მიუღებელია. იმედია, ნაციონალებს ეყოფათ სიბრძნე და ამ აქციებს პერმანენტულ სახეს არ მისცემენ თორემ, შესაძლოა, მთავრობა აიძულონ, ექსტრემისტული ნაბიჯები გადადგას. ზოგადად, აქციებს ბრძოლის მეთოდებიდან არ გამოვრიცხავთ. მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ხელისუფლებასთან, თუმცა, თუ ყურს დაგვიგდებენ, 2016 წელს ხალხი არჩევანს გააკეთებს.

**— ყველაფერი ისე გაქვთ დაგეგმილი, თითქოს არჩევნები აუცილებლად 2016 წელს უნდა ჩატარდეს. ასე რომ არ მოხდეს, ცაიტნოტში არ აღმოჩნდებით?**

— გვინდა, ქვეყანა მდიდარი იყოს, რისთვისაც სტაბილურობაა საჭირო. საარჩევნო ციკლი არ უნდა გავწყვიტოთ და 2016 წლამდე უნდა მივიდეთ. ვადამდელი არჩევნები მაშველი რგოლი მხოლოდ ამ ხელისუფლებისთვის იქნება, რომელიც აგონიას კიდევ 4 წლით გაიხანგრძლივებს. ვფიქრობ, 2016 წლამდე მშვიდად უნდა მივიდეთ, რადგან ამ დროს ხელისუფლების რეიტინგი მაქსიმალურად დაწეული იქნება.

**— თქვენ რომელ სეგმენტზე აპირებთ გასვლას — „ოცნებასა“ და ნაციონალებს თავიანთი მხარდამჭერები ჰყავთ, კონსტრუქციული ოპოზიციის ნიშა ალასანიამ დაიკავა, შედარებით რადიკალურ ძალებს, ბურჯანაძე-ინაშვილის სახით, თავიანთი სეგმენტი ჰყავთ.**

— მართლაც არსებობს ნაციონალების მხარდამჭერი ჯარისკაცების დაახლოებით 15% და ისინი, ქვეყანა რომ დაინგრეს, მაინც მიშა-მიშას იძახებენ. ასეთივე არმია ჰყავს ივანიშვილსაც. არის მცირე ნაწილი, რომელიც რადიკალურ, აბსტრაქტულ ქმედებებს ითხოვს — მაგალითად, სამართლიანობის აღდგენას და სამართლიანობის სუბიექტურ ცნებას სამართლისგან ვერ მიჯნავს. შუაში კი, ჩვენი გათვლებით, 30-40%-ია — იმედგაცრუებული, გულაცრუებული სეგმენტი. ვფიქრობ, ისინი არჩევნებზე გამოვლენ, თუ სწორ პროგრამას შევთავაზებთ. სულაც არ მგონია, 90% უნდა მივიღოთ. საზოგადო სიყვარული საზოგადო სიძულვილად იქცევა ხოლმე.

**— თქვენი აზრით, პარლამენტში შეხვალთ?**

— დარწმუნებული ვარ... ხალხს სწორ, პრაგმატულ იდეებს მივაწვდით და თუ არ უნდა, მაშინ მის ნებას დავემორჩილებით, ჰყავდეთ ბელადი, ჩვენ კი ქუჩაში არ გამოვცვივდებით და წივილ-კივილს არ დავიწყებთ, ხმები მოგვპარესო. „ივერია“ კონკრეტულ, პრაგმატულ ნაბიჯებსა და იდეებს სთავაზობს ყველას, ხოლო ვისაც ყიჟინა, ბუკი, ნაღარა უნდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ არა ჩვენთან!



# „ვავა, შვილო“ — მოქალაქეების პასუხი კითხვაზე, მიდიხართ თუ არა 21 მარტს აქციაზე

ნინი ჯაფარიძე

**ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის გამართვამდე 1 დღე დარჩა. „ვარდოსნების“ დემონსტრაციაზე ვარდებს ნაკლებად ელიან, ისინი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით გამოვლენ. საინტერესოა, რამდენად სურს მოსახლეობას ლოზუნგადქცეული „უკეთესი მომავალი“, რომელსაც ნაციონალები სთავაზობენ. იმის გასარკვევად, ეთანხმებიან თუ არა საპარლამენტო უმცირესობის მოთხოვნას და მივლენ თუ არა აქციაზე, „ვერსიამ“ მინი-გამოკითხვა ჩაატარა.**

**კოტე 26 წლისაა** და დეზერტირების ბაზარში მტვირთავად მუშაობს. აქციაზე მისვლას არ გეგმავს, რადგან მიაჩნია, რომ ეს დროის ფუჭი ფლანგვაა. არჩევანი ორი წლის წინ გააკეთა და ჯერჯერობით, არაფრის შეცვლას გეგმავს: „აქციაზე წასვლას არ ვაპირებ. ჩემი არჩევანი „ქართული ოცნებაა“. მათი მჯერა. ნაციონალური მოძრაობისა კი არა. ჩემი ძმა, ორი შვილის მამა, 6 წელი პატიმარი იყო და ჩემმა ოჯახმა ბევრი სიმწარე ნახა. მაშინ სხვა მთავრობა რომ გვყოლოდა, ცხოვრებაც სხვაგვარი იქნებოდა, მაგრამ რა გაეწყობა, დროს ვერ დავაბრუნებთ. მთავარია, ახალი შეცდომები არ დავუშვათ. დღეში 15 ლარს ვშოულობ. ზოგს ესეც არ აქვს და მშიერია, რა დროს აქციაა“.

დეზერტირების ბაზრის გაყოლებაზე, გზის მოპირდაპირე მხარეს ქალები ბანანს ყიდიან. გაზაფხულდა, მაგრამ ბანანი მაინც გაძვირდა. ზამთარში ერთი კილო 2,70 ლარი თუ ღირდა, ახლა, დოლარის კურსის მატების გამო, 4,70 ღირს, — გვიხსნის, **60 წლის** კასპელი ქალბატონი **იზოლდა.** ამჟამად თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე, იტალიურ ეზოში, ქირით ცხოვრობს. იმედი აქვს, ოდესმე სახლს იყიდის, თუ კრედიტები გაიაფდება. 21 მარტს აქციაზე არც ქალბატონი იზოლდა აპირებს წასვლას: **„აქციაზე არ წავალ. რა აზრი აქვს? ან როგორ წავალ, ჩემს ბანანებს რა ვუყო? გაზაფხულდა, ხალხმა იმატა, დღეში 20 ლარზე ავდივართ. რომ წავიდე, მშიერი დავრჩები და ეგენი მარჩენენ? 9 წელი ხომ „მარჩინეს“ და ახლაც მოიკლავენ თავს. „ქართულ ოცნებაზე“ არ ვგიჟდები, შვილო, მაგრამ იმედი მაქვს, დღეს თუ არა ხვალ, უკეთ იქნება ყველაფერი. იმათ დროს კი, იმედი არ მქონდა, მეშინოდა. მაღაზია მქონდა და დავკარგე, ვალი დამედო. დღესაც ამბობენ, კრიზისიაო, მარა მე ჩემი ბანანები მეყიდება და კმაყოფილი ვარ. პენსიაც მაქვს 150 ლარი. მშიერი არ ვარ. ჩემი ოცნებაა, სახლი მქონდეს. ადრე ქარხანაში თუ მუშაობდი, ბინას გაძლევდნენ. ახლა სადღაა მასე. 1-ოთახიან ბინას თუ იყიდი კრედიტით, 9-ოთახიანის ფული უნდა შეიტანო. ბინით თუ დამეხმარება ეს მთავრობა, ყველაზე დიდი სიკეთე ეს იქნება“.**

ბანანების გამყიდველთან, ხის მოღრეცილ სკამზე, ხანშიშესული ე.წ. სტაიანშჩიკი ზის. ჩალისფერი ჟილეტი აცვია, რომელსაც ორი სალათისფერი, აქერცლილი ზოლი გასდევს. ხელში ბაწარმოხვეული ჯოხი უჭირავს და მანქანებს ათვალიერებს. შეკითხვაზე — წავა თუ არა 21 მარტის საპროტესტო აქციაზე, მოკლე პასუხი გამცა „ვავა, შვილო“, მაშინვე წამოდგა და გამეცალა. მიმანიშნა, დროს მაკარგვინებო. დეზერტირების ბაზრის მოპირდაპირე მხარეს გაჩერებაზე, 15 ყველაზე ხშირი ტრანსპორტია, რომლითაც **30 წლის ინჟინერი ზურა**, ხშირად მგზავრობს. იგი საქართველოს რკინიგზაში მუშაობს, ამბობს, ხელმძღვანელებს ხელქვეითებთან ცუდი დამოკიდებულება აქვთო და ხელისუფლებაში, ნაციონალების დაბრუნების შემთხვევაშიც არ ელის შრომითი თუ ყოფითი პირობების გაუმჯობესებას. შესაბამისად, არც 21 მარტს აპირებს აქციაზე წასვლას: **„ალბათ ძველ ეგვიპტეში უკეთ ეპყრობოდნენ მონებს, ვიდრე ჩვენთან. დაბალი ხელფასებია და შრომის პროპორციული არ არის. რკინიგზელს მინიმუმ 1000 ლარი უნდა ჰქონდეს ანაზღაურება. ჩვენთან ადამიანები თავს არაადამიანებად გრძნობენ. ხელთათმანს, რომლებიც 2 დღეში იხევა, თვეში ერთხელ აძლევენ. როცა სამუშაოდ კონკრეტული მასალა მჭირდება, მეუბნებიან, რაც არის იმით იმუშავეო. მოტივაციასა და შრომისუნარიანობაზე ეს ცუდად მოქმედებს. უკეთესი პირობები მინდა, ჰოდა, ველოდები. რაც ნაციონალურმა მოძრაობამ აკადრა ხალხს, იმის პატიება არ შეიძლება. მაგათ ხმას არ მივცემ, არც აქციაზე წავალ. არ მინდა, დაბრუნდნენ. თაობები გააუპატიურეს, მიწები გაასხვისეს, ელიტური კორუფცია დაამკვიდრეს. ათი კაცის ჯიბეში მიდიოდა მთელი ხალხის თანხა, ხალხს ტვინს ურეცხავდნენ. ჭკვიანები იყვნენ, მაგრამ ბოროტები და საქართველოს კეთილდღეობაზე არ ზრუნავდნენ. ებრძოდნენ ყოველგვარ ეროვნულს და ტრადიციულს. „ოცნებას“ კი, მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. მათაც ვერ შეასრულეს ბევრი დაპირება, მაგრამ 2 წელი არც ისე დიდი დროა და იმედია, ყველაფერი უკეთ იქნება“.**

# „ისლამური სახელმწიფო“ ოფიციალურად პირველად ადასტურებს, რომ კავკასიის დაპყრობა სურს

თამარ ლომსაძე
599-20-94-01




**„ჯვაროსნებო, თუ იმედოვნებთ, დაიპყრობთ სალახედდინს, აიღებთ მოსულს, ოცნებობთ სინჯარაზე, ტიკრიტზე, ჯარაბლუსზე... თუ თქვენ გინდათ, დაიპყროთ ნიგერიის ჯუნგლი, მაშინ ჩვენ, ალაჰის ნებით, გვინდა, დავიპყროთ პარიზი, ვიდრე ავიღებთ რომსა და დავიპყრობთ ესპანეთს... მას შემდეგ, რაც თქვენს სიცოცხლეს კოშმარად ვაქცევთ და დავანგრევთ თეთრ სახლს, ბიგ ბენსა და ეიფელის კოშკს, როგორც დავანგრიეთ მეფე ხოსროვის სასახლე, ალაჰის ნებით. ჩვენ გვინდა, ვეპატრონებოდეთ ქაბულს, კარაჩის, კავკასიას, ერ-რიადს... გვინდა, ვბატონობდეთ ბაღდადში, დამასკოში, იერუსალიმში, კაიროში, დოხაში, აბუ-დაბიში... მუსულმანები ისევ გახდებიან აქაურობის პატრონები“, — ეს „ისლამური სახელმწიფოს“ შეიხის, ელ-ადნანის მიმართვაა, რომელიც ახლახან გაავრცელა პრესსპიკერმა. „ისლამური სახელმწიფო“ ტერორისტულ ორგანიზაციადაა აღიარებული და ეს მუქარაც რიგითი იქნებოდა, რომ არა ერთი მცირე, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო დეტალი — მიმართვაში ნახსენებია კავკასია, რომელიც აქამდე არ ფიგურირებდა. ბუნებრივია, განცხადება მედიაში ელვის სისწრაფით გავრცელდა და მსოფლიო ლიდერებიც დადარაჯდნენ, მით უმეტეს, რომ ჩეჩნეთსა და დაღესტანში მოთარეშე ბანდებმა უკვე მიმართეს „ისლამურ სახელმწიფოს“, ნიგერიულმა დაჯგუფება „ბოკო ხარმამ“ ერთგულება შეჰფიცა და ელ-ადნანმაც ჯიჰადის მიმდევრებს, რომლებსაც მიზეზთა გამო არ შეუძლიათ სირიაში, ერაყში, ავღანეთსა თუ ლიბიაში ჩასვლა და ომი, მიუთითა — გაემგზავრონ დასავლეთ აფრიკაში, რადგან იქ „უკვე არსებობს ისლამური სახელმწიფო და იგი, იმ დარტყმების მიუხედავად, რასაც საერთაშორისო კოალიცია აყენებს, მაინც დაუმარცხებელია“. მათ თავის დროზე, ებრაელებსა და „ჯვაროსნებს“ შესთავაზეს, მიეღოთ ისლამი და გადაეხადათ ზაკიატი (გადასახადი ღარიბი მუსულმანებისთვის) ისლამური სახელმწიფოსთვის, ან დარჩენილიყვნენ თავის რელიგიაში და გადაეხადათ ბოევიკებისთვის ჯიზია (სულობრივი გადასახადი) უსაფრთხოებისთვის. გახდება თუ არა კავკასია ხალიფატის მორიგი სამიზნე და რა საფრთხეს შეიცავს ასეთი განცხადებები საქართველოსთვის მაშინ, როცა ქვეყანაში 600 ათასამდე მუსლიმი ცხოვრობს, „ვერსია“ კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარეს, ზაალ კასრელიშვილს ესაუბრა, რომელიც არსებულ ვითარებას ქვეყნის ამა თუ იმ ხელისუფალთა უყურადღებობას აბრალებს და თავდაცვის მინისტრს, მინდია ჯანელიძეს მიმართავს, სასწრაფოდ დადოს საქართველოს თავდაცვის ეროვნული დოქტრინა და ჯარის განვითარების კონცეფცია.**

— ჩვენთვის ამ განცხადებაში ახალი არაფერია. როცა პოლიტიკური ოპოზიცია ბაშარ ასადის არმიასთან ბრძოლაში დამარცხდა, მათ გამოაცხადეს ისლამური ჯიჰადი და დახმარება მსოფლიოში მცხოვრებ მუსლიმებს სთხოვეს. ამ თხოვნის საფუძველზე, 2010 წლიდან ინტენსიურად დაიწყო ეთნიკური კავკასიელების გადაადგილება სირიაში, მათ შორის საქართველოს გავლით... ჩვენ მაშინვე მივმართეთ პრევენციულ ღონისძიებებს. გავაკეთეთ განცხადებები, მოწოდება და, რა თქმა უნდა, მივეცით შეფასება... ჩვენი პროგნოზი, რომ ეთნიკური კავკასიელები გაერთიანდებოდნენ ცალკე დაჯგუფებაში, მათი სამიზნე კავკასია გახდებოდა, რადგან სირიიდან იმავე მარშრუტით დაბრუნდებოდნენ უკან და ეს შექმნიდა საფრთხეს კავკასიის რეგიონში, სამწუხაროდ, გამართლდა... სანამ კვერცხი არ მოგვადგება ქართველებს, სანამ თავში არ ჩაგვიკაკუნებს პრობლემა და ყელში არ წაგვიჭერს ცუდის მოლოდინი, ყურს არავინ იბერტყავს; ჩვენი პოლიტიკოსები კი, სახლში — მგლები, გარეთ — თხები, ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში, პირადი ცხოვრების დანგრევაში, ქრთამის აღებაში, ძალაუფლების შენარჩუნების ავადმყოფურ, მანიაკალურ კანკალში არიან და ყურადღებას არ აქცევენ, რომ ჩვენი ქვეყნის ფარგლებსგარეთ ბევრი პროცესი მიდის. ერთ მაგალითს გეტყვით — 2016 წელს ყარსის ზავს ვადა გასდის, რაც თვისობრივად ახალ გეოპოლიტიკურ პროცესებს შეუწყობს ხელს და ესაა შანსი, რომელიც ას წელიწადში ერთხელ ეძლევა საქართველოს — შეგვიძლია რეგიონში ფუნქცია და დანიშნულება დავიბრუნოთ, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობს და არავინ არაფრისთვისაა მზად...

**— სწორედ ამას გეკითხებით, რისთვის უნდა მოვემზადოთ, საფრთხე რეალურია?**

— დღეს ხალიფატის სარდლობის 90% ეთნიკური კავკასიელია. მათ წყევლაც ახსოვთ და მტრების სახელებიცა და გვარებიც იციან. გასაკვირი მათი განცხადება არაა, საინტერესოა, რისთვისაა მზად საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ეს საფრთხე კი არა, სამოქმედო გეგმაა და ის აუცილებლად განხორციელდება. როდის, რა ფორმით — სამხედრო საიდუმლოა და მხოლოდ მათ იციან... სხვათაშორის, კავკასია ასეთ მიმართვაში პირველად არ გაჟღერებულა. გაიხსენეთ ეთნიკური კავკასიელი სარდლების განცხადება — ისინი მზად იყვნენ, ებრძოლათ საქართველოშიც და ჩრდილოეთ კავკასიაშიც რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ! მაშინ, ეს განცხადება ყველამ ყურად იღო, ჩვენს გარდა.

**— რა ზომები უნდა მიიღოს ასეთი განცხადებებისა თუ საფრთხეების დროს ხელისუფლებამ?**

— კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია წლებია აკეთებს იმას, რაც სჭირდება ქართულ სახელმწიფოს და ხელისუფლებაც ასე უნდა მოიქცეს: არსებობს საერთაშორისო ძალისხმევა, რეგიონული ინტერესი ტერორიზმის წინააღმდეგ... უნდა არსებობდეს რეგიონული პოლიტიკა, რეგიონული უსაფრთხოების კონცეფცია...

**— ეს პრევენციაა, ბატონო ზაალ?**

— ესაა მუდმივმოქმედი მექანიზმი ტერორიზმის წინააღმდეგ, რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით და სწორედ ამიტომ, მინდა, ვკითხო თავდაცვის მინისტრს — ბატონო მინისტრო, კარგია, ხშირად რომ დადიხართ პანაშვიდებზე და ამით მაინც დაამახსოვრეთ ხალხს თავი, მაგრამ გეკითხებით — სად არის საქართველოს თავდაცვის ეროვნული დოქტრინა და ქართული ჯარის განვითარების დაპირებული კონცეფცია?! დროზე გამოაქვეყნეთ, თეზისებად მაინც, რომ გავიგოთ, ტყუილს ამბობთ თუ სიმართლეს, ეყოლება თუ არა საქართველოს თავდაცვისუნარიანი არმია თუ უნდა გადაგვჩეხოთ უფსკრულში?

**— ზოგმა გავრცელებულ განცხადებაში რუსული კვალიც დაინახა — თემა შეგნებულად წამოწიეს, რათა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დაანახონ, რომ რეალური საფრთხე დერჟავა კი არა მუსულმანები არიანო.**

— შეიძლება, ასეც იყოს... არ გამოვრიცხავთ, დიდ სახელმწიფოებს ხალიფატში თავისი აგენტურა ჰყავდეთ და თუნდაც განცხადებების დონეზე, თავისი ქმედებების გამართლებას ცდილობდნენ. ეს რუსეთის შიდაპოლიტიკური ბაზრისთვის აუცილებელია, რადგან პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმიანობა ბევრ კითხვისნიშანს აჩენს მოსახლეობაში, რომელსაც ნელ-ნელა მოშივდება და პროცესი რაც უფრო შორს წავა, მით მეტი ბერკეტი დასჭირდებათ საკუთარი აგრესიის გასამართლებლად თუ მოტივაციისთვის... საქმე ისაა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები, მხოლოდ განცხადებით არ შემოიფარგლება, მათ აუცილებლად დასჭირდებათ ერთი-ორი ლოკალური შეტაკება, რათა პოსტსაბჭოთა ქვეყნები აიძულონ, ირწმუნონ რუსეთის ძლევამოსილება... თუმცა პირადად აქცენტს მხოლოდ რუსეთზე არ გავაკეთებდი — ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურებმა არსებული ვითარება ქართველი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ლიდერების საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოიყენონ და არ იყოს მასობრივი შემოტევა თუ ტერაქტები.

**— რაიმე ინფორმაცია გაქვთ, ასეთ განცხადებას რომ აკეთებთ?**

— რომც გვქონდეს, ამ დონის ინფორმაციები ინტერვიუებში არ ჟღერდება. მოვა დრო და სასოწარკვეთილები, აწიოკებულები დაიწყებენ გამოსავლის ძებნას, მე კი ხალხი მებრალება და ყველაფერს ვაკეთებთ, ეს საფრთხეები ავაცილოთ...

**— საქართველოს მუსლიმ მოსახლეობაში რა განწყობაა?**

— განწყობა საფრთხისშემცველია, მაგრამ ნაკლებად არიან აფორიაქებულნი, რადგან ესმით ხალიფატის სარდლობის ენა, ჩვენგან განსხვავებით...

**— ჩრდილოკავკასიელები დათანხმდებიან, იყვნენ ბრმა იარაღი ვიღაცის ხელში?**

— კავკასია ჭრელია ეთნიკურად, რელიგიურად. პოლიტიკოსები ვერ ერკვევიან რეგიონულ პოლიტიკაში და რა გასაკვირია, მებრძოლი ვერ გაერკვეს სპეცსამსახურების მიზანში? მათი მიზანია, კავკასია გაათავისუფლონ დამპყრობლებისგან, შემოიტანონ და დაამკვიდრონ ჭეშმარიტი რწმენა, რისთვისაც კარგი ბაზა აქვთ — მთელი ჩრდილოკავკასია ისლამურია, ცხრამილიონიანი აზერბაიჯანი მუსლიმია, საქართველოში კი 600 ათასამდე მუსლიმი ცხოვრობს, ორი რეგიონი — აჭარა და ქვემო ქართლი შეუძლიათ აკონტროლონ. ამას პოლიტიკოსი გააკეთებს თუ ფუნდამენტალისტი რელიგიური ფანატიკოსი, ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. საფრთხე რეალურია და გასარკვევია, თუკი ქვეყანაში ვითარება აირევა, რისთვის ვართ მზად, რა დონის სახელმწიფო ვართ, რა სიძლიერის არმია გვყავს და როგორ შემოტევას გავუძლებთ. თუ თავდაცვის კარგი მინისტრი, ხელისუფლება და ოპოზიცია გვეყოლება, ყველანაირ საფრთხეს გავუძლებთ. საქართველოს რეალურად შეუძლია, რეგიონში წამყვანი პოლიტიკური და ეკონომიკური მოთამაშე გახდეს, მაგრამ 1992 წლის სამხედრო გადატრიალებიდან დღემდე, ვინც ერთხელ მაინც იყო ხელისუფლებაში და ცხოვრება მოიწყო, ყველა ქვეყნის მტერია. ვერ დაჯდა ეს ხალხი მრგვალი მაგიდის გარშემო და ვერ გამიჯნა სახელმწიფო და პირადი ინტერესები. აბსოლუტური უმრავლესობა მოდის, იპარავს და იმალება, ქვეყანა კი სუსტდება, ხალხი ღატაკდება, სახელმწიფო ინსტიტუტები მხოლოდ უცხო თვალის დასანახადაა მყარი, სინამდვილეში კი სახელმწიფო ვართ მხოლოდ ქაღალდზე!

**— რა ბერკეტები აქვს საქართველოს, გახდეს რეგიონში ნომერპირველი მოთამაშე?**

— ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოგრაფიული... არაერთი იდეა გავაჟღერეთ, მაგრამ არავის უნდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის კონცეფციის გაგონება. ლიტონი საუბარი რომ არ გამომივიდეს, მხოლოდ ერთ მესიჯს გავაჟღერებ — კავკასიის სამშვიდობო ლეგიონი! ეს არ არის ემოციური განცხადება, მის უკან დგას უსაფრთხოების კონცეფცია და თავდაცვის მინისტრმა, კეთილი ინებოს, კუკუ დამალობანას თამაშს თავი დაანებოს, პასუხისმგებლობას მაინც ვერ გაექცევა და გაგვაგებინოს, სად არის დაპირებული ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინა და ქართული ჯარის მშენებლობის კონცეფცია!

# სკოლის დირექტორი მასწავლებელს ცემაში ადანაშაულებს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის დირექტორი ირწმუნება, რომ ამავე სკოლის პედაგოგი ფიზიკურად გაუსწორდა. მომხდარს შორენა მენაღარიშვილი სკოლაში ჩატარებულ ექსტერნის გამოცდებს უკავშირებს. მისი თქმით, ისტორიის მასწავლებლის, ხათუნა მენაბდის შვილი გამოცდაზე ჩაიჭრა, რამაც იგი გააღიზიანა.

ფაქტის თვითმხილველი 10-მდე პედაგოგია, მათგან რამდენიმე სამართალდამცავებმა უკვე დაკითხეს. სკოლაში ამბობენ, რომ დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი ერთმანეთს, თავდაპირველად, სიტყვიერად დაუპირისპირდნენ, რაც მოგვიანებით, ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

სიტყვიერ დაპირისპირებას ადასტურებს, თუმცა ფიზიკურ ანგარიშსწორებას კატეგორიულად უარყოფს ხათუნა მენაბდე. ისტორიის მასწავლებელი იხსენებს, რომ დირექტორთან შელაპარაკება გამოცდების პასუხების შემდეგ, მის ირონიასა და გამოცდაზე ჩაჭრილი მოსწავლეების დაცინვას მოჰყვა.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 125-ე მუხლით დაიწყო, რაც ცემას გულისხმობს. ამასთან, აჭყვისთავის საჯარო სკოლაში მომხდარ ინციდენტს სკოლის დისციპლინარული კომიტეტი სწავლობს. რესურსცენტრი კი იმ ფაქტის მოკვლევას აწარმოებს, რამაც დაპირისპირება გამოიწვია. აჭყვისთავში მეთერთმეტეკლასელებმა დირექტორი ტესტის მცდარი პასუხების კარნახში დაადანაშაულეს.

*გიორგი სირაძე, „ვერსიისთვის“ გურიიდან*

**„ვერსია“ განაგრძობს ტელედოკუმენტალისტ გელა ქოქიაშვილის საქართველოში მოგზაურობის ამსახველი წერილების გამოქვეყნებას, რომლებიც ჩვენი ტაძრების ისტორიასა და დღევანდელ მდგომარეობას ასახავს. გარდა აღწერისა, ავტორი, როგორც ისტორიკოსი და მკვლევარი, მრავალ საინტერესო ვერსიას აყალიბებს ჩვენი ისტორიის პრობლემურ საკითხებზე.**
**ახალი წერილების სერია 2014 წელს საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში მოგზაურობის დასრულებისთანავე შეიქმნა და „ვერსია“ მას ოპერატიულად ეხმაურება.**

ქვათა მატიანე

# წმინდა ნინოს გზა

## სუჯეთი

გელა ქოქიაშვილი


„კაწარეთის სამების“ საერთო ხედი აღმოსავლეთიდან

წარსულ გაზაფხულს მეგობართან ერთად ისევ ავაკითხე ხაშმსა და კაწარეთს, რადგან კითხვა — თუ როგორ გადავიდა აქედან შიდა კახეთში წმინდა ნინო, დღემდე მოსვენებას არ მაძლევს... თურდოსხევით იარა თუ ჭერემისხევით? იქნებ, სულაც, სამხრეთით დაეშვა და ამჟამინდელი ნინოწმინდა გაიარა? სად უნდა ვეძიოთ ის ქცელდაბა თუ ქველდაბა, სადაც მოციქულთა სწორმა კახელი აზნაურები (მომავალი ერისთავები) მონათლა?

კაწარეთის „სამებაში“ ბერების ნაცვლად, ამჯერად მონაზონი დედები გვხვდებიან და თბილადაც გვიღებენ, მაგრამ მონასტერში დიდხანს არ ვჩერდებით, 3 წლის წინათ დეტალურად გადაღებულ „სამებაში“ სანთლებს ვანთებთ და აღმოსავლეთით, ლაფიანხევის მარცხენა ნაპირის გორაკებით ვაგრძელებთ გზა. გზას პირობითად ვამბობ, რადგან სინამდვილეში, ეს სერდასერ გაკვალული სამხიდიანი მანქანების ნაგზაურია. იგი ბოლოს ტყეში შედის. საბედნიეროდ, გაზაფხულის წვიმებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ხოლო თოვლი, რახანია დამდნარა და მიწას გამოშრობა მოუსწრია. ერთი სიტყვით, ორხიდიანი „მიცუბიშით“ გვარიან მანძილს გავდივართ, მაგრამ საზღვარი ამ მანქანის შესაძლებლობებსაც აქვს.

ჩვენს წინ **სათივარის მთაა**, ხელმარჯვნივ — **ყორომთა**, საიდანაც სამი ხევი ეშვება სამხრეთით: **კალოთხევი**, რომელიც მერე პატარძეულის ხევს უერთდება, **ნინოწმინდისხევი** და **თვალთხევი**, რომელიც საგარეჯოში ჩადის. ნინოწმინდისხევის თავში ნაეკლესიარ-ნასოფლარი „**დრეიძეა**“, ოდნავ ქვევით — „**კვირიკეწმინდა**“, ხოლო მას ქვევით — თავად „**ნინოწმინდა**“.

შესაძლოა, ყორომთაზე გადამავალმა წმინდა ნინომ აქ ადგილობრივი ან, სულაც, მომთაბარე მწყემსები მონათლა და სუჯეთის საუფლო (საერისთავო) სახლისთვის მოგვიანებით სწორედ ეს გახდა „ნინოწმინდის“ აგების საფუძველი... ვინ იცის... მაგრამ თავად ნინო ხევს ქვევით რომ არ დაუყვებოდა და შიდა კახეთისკენ დღევანდელი გზით არ ივლიდა, ეს უეჭველია. უეჭველია იმიტომ, რომ ეს ტერიტორია ჰერეთ-სუჯეთისა იყო, სუჯები კი, ერწოელებთან ერთად, კაწარეთში უკვე მონათლული ჰყავდა ნინოს. საამისოდ მეორე მტკიცე არგუმენტიც არსებობს: „მოქცევაი ქართლისაის“ როგორც შატბერდულ, ისე ჭელიშურ რედაქციაში მკაფიოდაა ნათქვამი, რომ წმინდა ნინო კაწარეთიდან **კი არ „შთავიდა“** დიდ კახეთში და ქცეულ დაბაში, **არამედ „გარდავიდა“.** ზმნის ამ ორ ფორმას მკაფიოდ რომ ასხვავებენ და სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ მემატიანეები, ეს აშკარაა.

**შატბერდული რედაქცია**: წმ. ნინო წობენიდან (არაგვის ხეობა, — გ.ქ.) „**გარდავიდა** ერწუდ




(ივრის ხეობაში — გ.ქ.) და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელსცა ერწუთიანელთა... და ნინო **შთავიდა** კხოეთა (ე.ი. კუხეთში, ივრის ქვედა დინებაში, — გ.ქ.) და დადგა კაწარეთს და მონათლა კხოელნი და სოჯნი (იგივე სუჯები, რომლებიც ამ დროს ჰერეთში შედიან, — გ.ქ.) ერითურთ მათით და **გარდავიდა** კახეთა (ე.ი. შიდა კახეთში და ალაზნის ხეობაში, — გ.ქ.) და დადგა ქცელდაბას და მოიყვანა კახნი მთავარნი და მონათლა“.

**ჭელიშური რედაქცია**: წმინდა ნინო არაგვის ხეობის წობენიდან „წარვიდეს ერწუდ, დადგეს ედომს დაბასა ჟალეთს და ნათელსცა ერწოთიანელთა... და წარვიდა კახეთად (აქ ალბათ უნდა ეწეროს „კუხეთად“ ან არადა, მემატიანეს კუხეთი მცირე კახეთად მიაჩნია, — გ.ქ.) დადგა კაწარეთს და მონათლნა კაოხნი (ახლა მემატიანე კუხებს კაოხებად მოიხსენიებს, — გ.ქ.) და სუჯნი ერითურთ მათით. და კუალად **გარდავიდა** დიდად კახეთად. დადგა სანატრელი იგი ქველდაბას (იგივე ქცელდაბას, — გ.ქ.) და მოიყვანა კახნი მთავარნი, ამათვე მეფეთა ნათესავნი (ე.ი. რევიანები, — გ.ქ.) და ნათელსცა და განიშორა ნათლვაი მათი“.

**მგონი, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ გარდასვლა ერთი მდინარის აუზიდან მეორე მდინარის აუზში გადასვლას ნიშნავს. ე.ი. წმინდა ნინო ივრისპირა კაწარეთიდან ალაზნისპირა ქვეყნის ქცელდაბაში გადადის!..**

ეს-ესაა, გაცხადებული ჩემი მოსაზრებით, მგონი, ისიც ვთქვი, რომ ნინოს მარშრუტი კაწარეთიდან ქცელდაბამდე სამხრეთის ხაზით, ანუ დღევანდელი გზით ვერ გაივლიდა და თავისთავად ვერც ის ვერსია გამოდგება, რომ ქცელდაბა და ნინოწმინდა ერთი და იგივე დასახლების ორი სხვადასხვა სახელია. ერთი სიტყვით, ჩემთავად, სამხრეთის მიმართულებას ნამდვილად გამოვრიცხავ.

ასევე უნდა გამოირიცხოს, ჩემი აზრით, ჩრდილოეთის მიმართულება. წმინდა ნინო კაწარეთიდან უკან რომ არ გაბრუნდებოდა და უჯარმიდან ზევით, ახლანდელი **ვერონიდან, თურდოს ხევით** ანუ თელავის გზით არ ივლიდა, ესეც არ უნდა იწვევდეს ეჭვს. **აშკარაა, რომ წმინდა ნინოს მარშრუტში საგანგებოდ იჯდა უჯარმის გამოღმა მხარეს, ლაფიანხევის ნაპირზე მდებარე კაწარეთი, სადაც კუხები და სოჯები ერთად უნდა მოენათლა. რომ არა ეს გეგმა, მაშინ მოციქულთა სწორი უჯარმასა და კაწარეთში საერთოდ არ დაეშვებოდა და ჟალეთიდან დიდ კახეთში უფრო მოკლე გზით — კვეტერათი გადავიდოდა.**



ბუნებრივია, კაწარეთიდან ჭერემში გარდამავალ, ჩვენს მიერ ნავარაუდევ გზას დიდი ხანია ტყემ გადაუარა და ნიაღვრებმა გადარეცხა, მაგრამ მეტყევეები ამბობენ, რომ ტრადიციული საურმე გზის ფრაგმენტები აქა-იქ კიდევ გვხვდება გომბორის მთებში, რომელიც ცხენით თუ ქვეითად მოსიარულე კაცისთვის იოლი დასაძლევია.

ჩვენ ამ გზაზე საუბარს მომავალში გავაგრძელებთ, ახლა კი, რადგან ჩვენს დროში გადაადგილების საშუალება ავტომობილია და ცხენს (მითუმეტეს, საჯდომს) ვერსად იშოვნი, იძულებულნი ვართ, უჯარმიდან მიმავალი დაკარგული გზის ნაცვლად, ჭერემში გრძელი, შემოვლითი საავტომობილო ტრასით მოვხვდეთ. ასეა: რაც უნდა ეცადო, ძველ საუკუნეებში მაინც ვერ გადასახლდები...

... **ნინოწმინდაში** შევდივართ.

ტეტრაკონქის ტიპის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც სოფლის თავში დგას, VI საუკუნის ბოლო მეოთხედშია აშენებული და იგი წინ უსწრებს ცნობილ „მცხეთის ჯვარს“. და საერთოდაც — ადრექრისტიანული ტაძრების რაოდენობით კახეთ-ჰერეთს საქართველოს (და მგონი, არამარტო საქართველოს) ვერც ერთი კუთხე ვერ გაუტოლდება. ამის მიზეზებსა და შედეგებზე მოგვიანებით, ალბათ, სხვა წერილებში მოგვიწევს საუბარი, ახლა კი ნინოწმინდის საყდარს დავუბრუნდეთ.

ჯუანშერს ნათქვამი აქვს, რომ **გორგასალმა ერთ-ერთი „ეპისკოპოსი დასვა ნინოწმინდას** — **უჯარმის კარსა“**. არათუ ამჟამინდელი სოფელი ნინოწმინდა, არამედ სოფლის თავში მდებარე ტაძარიც კი უჯარმის კარად ვერ გამოდგება. მათ შორის მანძილი სულ ცოტა 13 კილომეტრი იქნება პირდაპირი ხაზით, ხეობითა და ბილიკებით კი 15-18 კილომეტრი.

აშკარაა, რომ ნინოწმიდად ნაგულისხმევი სოფელი IV-V საუკუნეებში გაცილებით ზევით, ხევის თავში, ყორომთის სერზე იქნებოდა შეფენილი — იქ, სადაც ახლა ნასოფლარი დრეიძეა. აქედან გამომდინარე, წმინდა ნინოს მოგზაურობის დროს ეს სოფელი კაწარეთიდან სულ რაღაც 5-7 კილომეტრში, უჯარმა-ჭერემის გზის სიახლოვეს იქნებოდა. არის ასეთი ეჭვიცა თუ ვერსიაც: წმინდა ნინომ ერთ-ერთი ჯვარი არა შიგ უჯარმაში, არამედ სწორედ უჯარმის კარს, ამჟამინდელი ნინოწმინდის ხევის თავში აღამართვინა, მაგრამ შემდგომ ხანებში, როცა სპარსთა მეფე ხოსრომ ჭერემიდან უჯარმაზე გამოილაშქრა, მოსახლეობამ ჯვარი ქვევით ჩამოიტანა და ტაძარიც მის გარშემო ააგო...

„ნინოწმინდა“ პირველად XI-XII საუკუნეებში შეუკეთებიათ, მერე, როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, XVI საუკუნეში „**მეფემან, პატრონმან ლეონ** (კახთა მეფე ლევანმა, — გ.ქ.) **ტაძარი მეორედ აღაშენა და შეამკო ყოვლითურთ მოშლილი და დაქცეული“**. XVIII საუკუნეში ტაძარი კიდევ ერთხელ აღუდგენია ნინოწმინდელ მიტროპოლიტს, საბა ტუსიშვილს, მაგრამ 1824 და 1848 წლების მიწისძვრას „ნინოწმინდა“ ისე დაუნგრევია, რომ გასულ საუკუნეში მხოლოდ კონსერვაციას დაექვემდებარა.

ასეთი თავგადასავლის მიუხედავად, ტაძარი მაინც ძალიან შთამბეჭდავია. შესაძლოა, ამ შთაბეჭდილებას სწორედ მისი ნანგრევები ცხოველყოფს: მომწვანო ქვიშაქვისა და აქა-იქ შირმის თლილი კვადრები, დაუნდობლად დალეწილი, ვეება ოქტაგონური სხეული, გარედანვე დანახული შიდა სივრცე თაღებითა და კამარებით, კარიბჭითა და სარკმლით, ნიშებითა და ამბიონით... ერთი-ორგან ფრესკა და ფრესკის აზრისი, კონქთან შემორჩენილი ფერწერული ორნამენტი და ჩამავალი მზით ნაფერი პერანგი, იქვე XVI საუკუნის 4-სართულიანი სამრეკლო და გალავანი...

„ნინოწმინდა — პალატები მეფეთა, გალავანში ჯამი აქაფებული“, — გახსენდება გოგლას სტრიქონები და გსურს, ცის ცეცხლოვან კაბადონზე წინაპართა აჩრდილებს მოჰკრა თვალი...

*ავტორის ფოტოები*

„ნინოწმინდის“ კომპლექსი სამხრეთ-დასავლეთიდან და მისი ცალკეული მონაკვეთები





# აკაკის ძეგლი რუსთაველის ქანდაკება ჰგონიათ

მაკა ლომაძე
555-27-95-13

**მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მოქანდაკე, ბიძინა ავალიშვილი 1922 წლის 30 აგვისტოს, თბილისში დაიბადა. 1947 წელს თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და ქართველ მოქანდაკეთაგან პირველმა გამოიყენა მასალად ხე. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტებს. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შეფასებით, ის ამომწურავად გადმოსცემს მხატვრის შემოქმედებით კრედოს.**
**„ვერსიამ“ გადაწყვიტა, გაერკვია, რამდენად იცნობს საზოგადოება ბიძინა ავალიშვილის ერთ-ერთ თვალსაჩინო ძეგლს, აკაკი წერეთლის ჩანგიან სკულპტურას, რომელიც ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოეტის სახელობის გამზირზე დგას.**



„არ დავკვირვებივარ, არ ვიცი, ვინაა“ — როგორი რეაქცია აქვთ წერეთლის გამზირზე გამვლელებს მგოსნის ძეგლის დანახვისას

58 წლის ელისო რაიონიდანაა, მაგრამ თბილისშია გათხოვილი. მან სწორი პასუხი დაუფიქრებლად გაგვცა; ფიქრი არც 34 წლის თბილისელ დეას დასჭირვებია; დაახლოებით 50 წლის იმერელ ცოლ-ქმარს კი, რომლებიც დედაქალაქს რამდენიმე დღით სტუმრობდნენ, პასუხი არ ჰქონდათ; ახალგაზრდა, 24 წლის იასაც, რომელმაც სტუდენტობა თბილისში გაატარა, არ გასჭირვებია მარტივი „გამოცდის“ წარმატებით ჩაბარება; აფხაზეთიდან დევნილმა 73 წლის ნუნუ ბებომაც სწორად გვიპასუხა; „აკაკი, რა თქმა უნდა“, — ამაყად თქვა 30 წლის თბილისელმა პაატამ; 40 წლის ჩამოსულმა მამაკაცმა, რომელმაც ინიციალებიც კი არ გაგვიმხილა, არ იცოდა, ვისი ძეგლი იყო მის წინ აღმართული; 25 წლის ბექა იუმორით გამოირჩეოდა, თუმცა იუმორი უცოდინარობას რამდენად შველის, არ ვიცი — „ზურგით ზის და ვერ ვხედავო“, თავი იმართლა ბექამ; ორმა, 30 წლამდე ასაკის მამაკაცმა, ცივად და თითქმის ერთხმად მიპასუხეს, არ ვიცითო და საეჭვოდ მოკურცხლეს; 32 წლის ოზურგეთელმა კახამ კი, ომახიანად გაგვცა სწორი პასუხი; გამოკითხულთაგან უდავო გამარჯვებული და ყველაზე ინტელექტუალი გამოდგა 56 წლის ამირან ღუდუშაური, რომელმაც მსუბუქი ირონიით გვიპასუხა: „სირცხვილი და თავის მოჭრა, ვინმე არ იცის? აკაკი, რა თქმა უნდა!“ წასასვლელად გამზადებული კი, კვლავ მოგვიბრუნდა და თუ გინდათ, ავტორსაც გეტყვით: ბიძინა ავალიშვილიო, თქვა; 50 წლის ბატონი დავითი, რომელიც, დიდი ხანია, თბილისში ცხოვრობს, ვერ გვპასუხობს; მცირეწლოვანი ვასო, რომელიც, სავარაუდოდ, არაქართული წარმომავლობისაა, შეშინებულია, ჰგონია, რადგან სწორი პასუხი არ აქვს, დავსჯით; 32 წლის ბესო, სამტრედიიდან, გვეუბნება, რომ 12 წელია, აქ ცხოვრობს, მაგრამ ამ ძეგლს „არ დაკვირვებია“; 20 წლის გიო კი კითხვის დასრულებას არ გვაცდის, უცებ გვეუბნება სწორ პასუხს; ლევან ფერაძე, 23 წლის, დედასთან ერთად, საყიდლებზეა გამოსული. დედა-შვილი ორ ხმაში მპასუხობენ — აკაკი! ახალგაზრდა კი, ღიმილი იმასაც მეუბნება, თუ გინდა, პოეტის მთელ ბიოგრაფიას მოგიყვები, ნაწარმოებებსაც, მაგრამ ვაჟაზე წინ მაინც ვერ დავაყენებო; „მგონი, შოთა რუსთაველი, სწორი ვარ?“ — მეკითხება 35 წლის მამაკაცი; „არ შემიხედავს, არ ვიცი“, — მეუბნება ახალგაზრდა ბიჭი; ქუთაისელი 20 წლის ბიჭი მპასუხობს, ვიცოდი და დამავიწყდაო; 18 წლის ნიკამაც გაგვიცრუა იმედი, როცა ომახიანად თქვა, მგონი, მაიაკოვსკიაო.

გრძელ სკამზე ბაბუა შვილიშვილს ართობს. მორიდებით მივდივარ. ვშიშობ, იდილია არ დავურღვიო.

— რა გქვია?
— ლუკა.
— რამდენი წლის ხარ?
— ხუთის.
— ლუკა, ხომ არ იცი, ვისი ძეგლია ეს?
— არა.
— აბა, თქვენ კი გეცოდინებათ, — ბაბუას ვუბრუნდები.
— არც მე ვიცი.

გამოკითხვამ, არცთუ სახარბიელო სურათი გვაჩვენა. იმედია, სამომავლოდ, უფრო მეტი მოქალაქე დაინტერესდება ამ ძეგლით. იქნებ ამოიცნონ მაინც უდიდესი პოეტი, სასიქადულო მამულიშვილი, გენია და სამშობლოსთვის თავდადებული აკაკი, რომელიც გალაკტიონის მისაბაძი მაგალითი იყო და რომელზეც ვაჟამ თქვა: „სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა“.



1. შუამავალი გამყიდველსა და მყიდველს შორის
2. კერძო მასწავლებელი
3. ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე
4. ცხენების ჯოგი
5. გამბიის დედაქალაქი
6. კუნთების მოდუნება
7. სამოთხის ანტიპოდი
8. წითელი ფერის ძვირფასი ქვა
9. პატარა ჩანთოსანი ცხოველი
10. საქართველოს მთიანი მხარე
11. ტუზი ქართულ ენაში
12. საგანთა ნუსხა
13. „სამწნილე“ მცენარე
14. მეფე დავით VII
15. კრედიტი უძრავი ქონების თავდებით
16. ფიზიკის ნაწილი, სწავლობს ბგერას
17. კარჩაკეტილი საზოგად. ჯგუფი
18. მომღერალთა გუნდი
19. ისრაელის სახელმწიფო ენა
20. შიშველი, წვეტებიანი კლდე
21. ობობასებრი მაიმუნი
22. უსინათლოთა შრიფტის ავტორი
23. ქალთა ძველებური აღმოსავლური ცეკვა
24. ღომის ამოსაზელი ხის დიდი კოვზი
25. საზაფხულო საძოვარი
26. ძაღლი „ბურატინოს თავგადასავალში“
27. დიდი ფრანგი მოქანდაკე
28. კომპაქტური მიკროავტობუსი
29. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული
30. პურეულის ნამჯის ნალეწი
31. საოჯახო ელექტროხელსაწყო
32. გარეგნული შესახედაობა, სახე
33. ქალაქი უკრაინაში
34. სამაგიდო თამაში
35. ინდუსთა მოძღვარი
36. ბალახის ჩრდილი
37. ხეობა კასპის რაიონში
38. ბოლშევიკთა გაზეთი
39. ავსტრალიის უგრძესი მდინარე
40. ქალაქი თურქეთში
41. იგივეა, რაც სინდისი
42. ცხიმოვანი სიმსივნე
43. ღვინის ობი
44. ახალი ზელანდიის აბორიგენი
45. საფრან-გეთის ძველებური ხურდა ფული
46. ისტ. მხარე სამხრეთ საქართველ.
47. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის თანაჟღერადობა
48. სასტუმროს მუშაკი
49. ტყვიით გატენილი მასრა
50. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
51. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება
52. რაჭის უდიდესი ქალაქი
53. ღრმა ორმო წყლისათვის
54. მუხის ნაყოფი
55. რაიმე ორგანოს ლორწოვანი გარსის ანთება
56. სოფელი ყაზბეგის რაიონში
57. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა ესპანელი მამაკაცისადმი
58. პირი, რომელსაც ემსახურება საკრედიტო ორგანიზაცია
59. ქულა ძიუდოში
60. ოფიციალური დოკუმენტი
61. ორი წერტილი კამათელზე

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | | | | 5 |
| 7 | | | | | | | 3 | |
| 1 | 5 | | | 4 | | 6 | | 8 |
| | | 1 | 6 | | | | | 4 |
| | 7 | | | | | | 5 | |
| 5 | | | | | 1 | 2 | | |
| 2 | | 6 | | 8 | | | 4 | 3 |
| | 8 | | | | | | | 6 |
| 9 | | | | | 7 | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 3 | |
| 6 | | | | | 2 | 1 | | |
| | 2 | | | 4 | 8 | 7 | 6 | |
| 5 | 3 | | | | | | | |
| | 7 | 2 | 5 | | 6 | 3 | 4 | |
| | | | | | | | 2 | 9 |
| | 9 | 5 | 1 | 7 | | | 8 | |
| | | 8 | 2 | | | | | 4 |
| | 1 | | | | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | 4 | 8 | | | 2 | | |
| | | | | 6 | | | | |
| | 9 | 8 | | | 4 | | | |
| | | 3 | 7 | 9 | | | | 5 |
| | | | | | | | | |
| 2 | | | | 8 | 3 | 4 | | |
| | | | 9 | | | 1 | 7 | |
| | | | | 7 | | | | |
| | | 5 | | | 1 | 3 | 2 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2 | | 1 | | 8 |
| | | 3 | | | 9 | | 7 | |
| | | | | | | | 4 | 3 |
| | 6 | 4 | | | | | | 7 |
| 9 | 5 | | 4 | | 6 | | 8 | 2 |
| 7 | | | | | | 5 | 6 | |
| 3 | 8 | | | | | | | |
| | 2 | | 8 | | | 7 | | |
| 5 | | 6 | | 3 | | | | |

# სასამართლომ სახლში მოწევა აუკრძალა




ვაშინგტონის მცხოვრებ ედვინ გრეის სასამართლომ დროებით საკუთარ სახლში სიგარეტის, სიგარისა და მარიხუანას მოწევა აუკრძალა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გრეის მეზობლებმა უჩივლეს კვამლის შემაწუხებელი სუნის გამო, რომელიც სარდაფში არსებული საჰაეროთი შედიოდა. გრეის მეზობლები ახალ სახლში ერთი წლის წინ გადავიდნენ. მათ ჯერ მორიგება სცადეს მწეველ მეზობელთან, მაგრამ როცა ცივი უარი სტკიცა, სარჩელი სასამართლოში შეიტანეს. გარდა მოწევის აკრძალვისა, ისინი 500 ათას დოლარსაც ითხოვდნენ კომპენსაციის სახით. გრეის ოჯახი აცხადებს, რომ შოკირებულია სასამართლოს ვერდიქტით და ვერ გაუგიათ, რატომ უნდა აეკრძალოთ სახლში მოწევა. ისინი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

# ატამი — ახალგაზრდობის საიდუმლო



სწავლულები აცხადებენ, რომ ახალგაზრდობის შენარჩუნებაში ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ხილი დაგეხმარებათ — ეს ატამია, რომელსაც გადაჭარებების გარეშე შეგვძილია ვუწოდოთ სუპერ-პროდუქტი არაჩვეულებრივი თვისებების გამო. მკვლევარებმა ადრეც შეისწავლეს სხვადასხვა ხილი იმის გამოსავლენად, რამდენად შეუძლია არა მხოლოდ ადამიანის დანაყრება, არამედ ორგანიზმის გაახალგაზრდავება. ცნობილი გახდა, რომ ამ მხრივ ყურადღება ატამს უნდა დავუთმოთ. ეს უგემრიელესი ხილი შეუცვლელია კულინარიასა და კოსმეტოლოგიაშიც. მედიკოსები გვიმტკიცებენ, რომ სიბერეს ყველაზე უკეთ სწორედ ატამი ებრძვის და თუ სწორად გამოვიყენებთ კოსმეტოლოგიაში, გამაოგნებელ ეფექტს მივიღებთ. გარდა ამისა, ატამი შეუცვლელია პილინგის დროსაც, ძირითადი კომპონენტის რანგში. ხილი მეტად წვნიანი და საკმარისად ტკბილია, მისი ზეგავლენით კანი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს სიგლუვესა და სინაზეს. ატმის რბილობი კი გაჯერებულია ნივთიერებათა კომპლექსით, რომელიც კანს კვებავს და მის ჰიდრობალანსს იცავს. ამის წყალობით ნაოჭები მაქიმალურად გვიან ასაკში ჩნდება. გარდა ამისა, ატამი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, იცავს გულის დაავადებებისგან, ეფექტურად ეხმარება ადამიანს დეპრესიული და სტრესული სიტუაციების გადალახვაში. ატმის რეგულარულად მირთმევისას ტვინიც უკეთ მუშაობს.

# წნევას საწოვარა არეგულირებს



მეცნიერებმა ახალი „მოწყობილობა“ შექმნეს, რომელიც საწოვარას — „მატყუარას“ მოგვაგონებს. მისი საშუალებით კი, ზრდასრული ადამიანები თავბრუსხვევას და გულის წასვლას გაუმკლავდებიან. როგორც ბრიტანული მედია იუწყება, თავბრუსხვევის პირველივე ნიშნებისას „საწოვარა“ პირში უნდა ჩაიდოთ და ის ტვინისთვის სისხლის მიწოდებას გააძლიერებს. ეს უცნაური სამედიცინო „მოწყობილობა“ სუნთქვის გაძნელების ხარჯზე მუშაობს. როცა ადამიანი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ორგანიზმი სისხლს გულისა და თავის ტვინისკენ გზავნის. მიუხედავად სუნთქვის გაიშვიათებისა, ხუთვის მომენტი არ დგება. ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „საწოვარა“ 50%-ით არეგულირებს არტერიულ წვენას და არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები.

# აუქციონზე კონცერტის ჰაერს ყიდის

რეპერ კანიე უესტის კონცერტიდან აღებული ჰაერი, რომელიც პაკეტშია მოთავსებული, ინტერნეტაუქციონზე იყიდება და მისმა ფასმა 60 ათას დოლარს მიაღწია. ლოტი გასაყიდად ერთი კვირის წინ გამოჩნდა და სასტარტო ფასი პაკეტისა, რომელშიც თითქოსდა არტისტი ოფლის ნაწილაკები იყო, მხოლოდ ხუთ დოლარს შეადგენდა. გამყიდველის თქმით, ის მომღერლის კონცერტზე წინა რიგში იჯდა, თუმცა, მტკიცებულება, რომ ლოტის ავტორი რეპერის შოუს ესწრებოდა, წარმოდგენილი არ არის. ვაჭრობის დასრულებამდე ორი დღით ადრე ლოტი მოიხსნა აუქციონიდან, თუმცა, უცნობია, გაიყიდა თუ არა.




# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 3 | 2 | 9 | 6 | 1 | 7 | 5 |
| 7 | 6 | 2 | 1 | 5 | 8 | 4 | 3 | 9 |
| 1 | 5 | 9 | 7 | 4 | 3 | 6 | 2 | 8 |
| 3 | 2 | 1 | 6 | 7 | 5 | 9 | 8 | 4 |
| 6 | 7 | 8 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 | 1 |
| 5 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 | 2 | 6 | 7 |
| 2 | 1 | 6 | 5 | 8 | 9 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 8 | 7 | 3 | 1 | 2 | 5 | 9 | 6 |
| 9 | 3 | 5 | 4 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 6 | 1 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 5 | 3 | 9 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 8 | 7 | 2 | 5 | 9 | 6 | 3 | 4 | 1 |
| 1 | 4 | 6 | 3 | 8 | 7 | 5 | 2 | 9 |
| 2 | 9 | 5 | 1 | 7 | 4 | 6 | 8 | 3 |
| 7 | 6 | 8 | 2 | 5 | 3 | 9 | 1 | 4 |
| 4 | 1 | 3 | 8 | 6 | 9 | 2 | 5 | 7 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 8 | 3 | 7 | 2 | 9 | 1 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 1 | 9 | 8 | 2 | 5 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 1 | 3 | 7 | 9 | 2 | 6 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 7 | 4 | 1 | 6 | 9 | 3 | 2 |
| 2 | 6 | 9 | 5 | 8 | 3 | 4 | 1 | 7 |
| 3 | 4 | 6 | 9 | 2 | 5 | 1 | 7 | 8 |
| 9 | 2 | 1 | 3 | 7 | 8 | 5 | 4 | 6 |
| 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 4 | 1 | 3 | 6 | 8 | 9 | 2 | 7 | 5 |
| 2 | 9 | 8 | 5 | 1 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 8 | 6 | 4 | 2 | 5 | 3 | 9 | 1 | 7 |
| 9 | 5 | 1 | 4 | 7 | 6 | 3 | 8 | 2 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 |
| 3 | 8 | 7 | 9 | 6 | 2 | 4 | 5 | 1 |
| 1 | 2 | 9 | 8 | 4 | 5 | 7 | 3 | 6 |
| 5 | 4 | 6 | 7 | 3 | 1 | 8 | 2 | 9 |

მე-10 გვერდი: 1. მარკოზი; 2. აბზაცი; 3. კოპერნიკი; 4. ზორო; 5. ნეილონი; 6. ესკადრა; 7. ლილონგვე; 8. ნადი; 9. წნორი; 10. ოიდიუმი; 11. იანი; 12. ტრაპეზი; 13. ლეკალო; 14. იეღოვა; 15. იაილო; 16. სიმბიოზი; 17. სი; 18. დინარი; 19. ოდინი; 20. ნიდაო; 21. ასფალია; 22. რეგანა; 23. ლეო; 24. ოპონენტი; 25. კუბრიკი; 26. ფეიხოა; 27. ლაიოსი; 28. აზავერი; 29. აღვი; 30. პანსა; 31. იუკო; 32. იმიჯი; 33. ხბო; 34. ვალაბი; 35. ელიტა; 36. ტომე; 37. ნეონი; 38. ტელი; 39. ფაუ; 40. ლეთე; 41. ბაო; 42. იასპი; 43. ემუ; 44. ნეი; 45. სტეკი; 46. კლიო; 47. ტრამპი; 48. ოსპი; 49. იონიკა; 50. რეიგანი; 51. ლეი; 52. პიტ; 53. პო; 54. გრო; 55. ლიმონათი; 56. ბილინა; 57. ნეიტრონი; 58. ობი; 59. მე; 60. ოლიფა; 61. ჰაიკუ; 62. ჰებე.

მე-12 გვერდი: 1. პტეროზავრი; 2. პოკერი; 3. პერიპეტია; 4. ეკლერი; 5. ომეგა; 6. პიუპიტრი; 7. კრისტალი; 8. რადა; 9. სპარტა; 10. ალარმისტი; 11. ეილერი; 12. უაილდი; 13. არისტოტელე; 14. სფინქსი; 15. ფარა; 16. ელია; 17. ტალეირანი; 18. იუტა; 19. ტაფა; 20. ფეტრი; 21. ნესი; 22. ეტა; 23. რული; 24. იბერია; 25. „პეჟო“; 26. ოტო; 27. სტარი; 28. „სკონტო“; 29. მამაი; 30. პასოდობლი; 31. ჟანდარმი; 32. იფრინდა; 33. სონატა; 34. ველინგტონი; 35. შაირი; 36. „სააბი“; 37. ნესტო; 38. დიახ; 39. შაირი; 40. შევრო; 41. ტლუ; 42. ოგიგია; 43. სინი; 44. ორთი; 45. იუკატანი; 46. მუდამ; 47. ფხა; 48. რიფი; 49. რაი; 50. ლეი; 51. ჰალეი; 52. ავანგი; 53. ბამბუკი; 54. „ირმისა“; 55. ანოქსია; 56. აგორაფობია; 57. როტარუ; 58. ვუალი; 59. ფიკუსი; 60. ლიე; 61. კაი; 62. ზანგი; 63. ია; 64. მაია; 65. სტოა; 66. ალილო; 67. ტირი; 68. აბი; 69. რეიდი; 70. გნუ; 71. ტრიო; 72. სპინინგი; 73. მასტიკა; 74. უნა; 75. ესე; 76. სია; 77. რომი; 78. კამიუ; 79. მი; 80. სიმინდი; 81. აისი; 82. ანალოე; 83. ომი; 84. აგა.



1. დედამიწის პოლუსების შემაერთებელი წრეხაზი
2. „რკინის ლედად“ წოდებული პოლიტიკოსი
3. მიჯრით ჩასობილი სარების ღობე
4. იტალიელი კინორეჟისორი
5. ქალის ღია საშუბლე გვირგვინი
6. ფილტვების მოცულობის ავადმყოფური გადიდება
7. გოგლა ლეონიძის „ჩირიკი და ...“
8. ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ ...
9. ჰერაკლეს ძმა
10. ქართ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი
11. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი
12. ოთახის დეკორატიული მცენარე
13. ასტრონომიული კუთხე
14. ხაკასიის რესპუბლიკის დედაქალაქი
15. საკონდიტრო ნაწარმი
16. კრემიანი ნამცხვარი
17. გიტას და ინდურ ფილმში
18. კინოფილმის გადასაღები ლენტი
19. უგონო მდგომარეობა
20. ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი
21. ქმრის და
22. „ოტელოს“ პერსონაჟი
23. ჯულიეტა მაზინას კინოროლი
24. შაქრის ლერწმის საჭრელი დანა
25. კაზაკთა ჯარის უფროსი
26. ქიმიური ელემენტი, ლითონი
27. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
28. ცხოველთა განავალი
29. ავტორი რომანის „ლამაზი მეგობარი“
30. ამერ. საზრ. ხელოვნების ოსტატი და მსახიობი
31. მომთაბარე ინდიელთა გადასატანი კარავი
32. ავსტრიელი პოეტი-მოდერნისტი
33. სამხედრო მოსამსახურის მოხსენება უფროსისადმი
34. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
35. ავტორი რომანისა „ომი და მშვიდობა“
36. არმიის მღვდელი
37. ჭუჭრუტანიდან ბნელში შეღწეული მზის სხივი
38. ძვირფასი ქვა
39. მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში“
40. მზის საგალობელი რაჭაში
41. პარტია ჩოგბურთის თამაშში
42. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი
43. ინგ. ყოფილი კოლონიის აღმნიშვნელი ტერმინი
44. აზერბაიჯანის ფულის ერთეული
45. მწერალი და საეკლესიო მოღვაწე ლეონტი ...
46. ღმერთ იაჰვეს შემცვლელი სიტყვა
47. ვულკანური წარმოშობის მინა
48. თმის დასაბანი თხევადი საპონი
49. საჩოგბურთო ტურნირი „... გაროსი“
50. ყველაფრისადმი ყოველგვარი ინტერ. დაკარგვა
51. ნესვის ხე
52. „საარჩევნო ყუთი“
53. ყელზე მოსახვევი ქსოვილი
54. საბერ. ადმინისტრაც. ტერიტორიული ერთეული
55. „ნისანის“ ერთ-ერთი მოდელი
56. ცეცხლის მნათი ნაწილი
57. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
58. იაპონური ცივი იარაღი ხელჩართული ბრძოლისათვის
59. დატოტვილრქებიანი ცხოველი
60. ვლადიმერ ვისოცკის ფრანგი მეუღლე
61. რუსეთის „სიმბოლური ცხოველი“
62. ძვ. საპერანგე აბრეშუმის ქსოვილი
63. ეგვიპტის კუთვნილი ნახევარკუნძული
64. ქართული ფილმი ვილისპიდის-ტი ბიჭის შესახებ
65. წილი საერთო საქმეში
66. თხების ჯოგი
67. მსახიობი ... კრუზი
68. მაუგლის გამზრდელი მგელი
69. თითო ბავშვი
70. სოფელი ადიგენის რაიონში
71. ქართული ანბანის I ასო
72. სვეტებიანი გალერეა
73. მსახიობი ... გოძიაშვილი
74. მდინარე იტალიაში
75. სპორტული ნაწარმის ფირმა
76. სათამაშო კოჭის მთავარი მხარე
77. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
78. პირის ღრუს ზედა ნაწილი
79. იაპონური თეატრის სახეობა
80. ქალაქი საფრანგეთში
81. რუსული თვითმფრინავის მარკა
82. ესპანელი ტენორი პლასიდო ...
83. თეატრის კოლექტივი
84. აშშ-ის ტელეპრემია



# სახლს ცოცხალი ხეები ჩაუყოლეს

იტალიელმა დიზაინერებმა ტურინიდან საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დაახლოებით 200 ცოცხალი ხე გამოიყენეს. ამ ცოცხალ დეკორაციას შენობისთვის განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია — ზაფხულში სახლს მცხუნვარე მზისგან დაიცავს, ზამთარში კი სიცივისგან და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ერთ დიდ ხეში ცხოვრობ. არქიტექტორ ლუჩანო პიას ქმნილება, ავტორისვე თქმით, ბავშვური ოცნების სახლს ჰგავს. მასში არსებულ 63-ვე ბინას საკუთარი ტერასა აქვს, რომელიც ასევე გამწვანებულია — უზარმაზარ ქოთნებში ხეებია დარგული და მათი რაოდენობა 150-ს აღწევს. დამატებით, 50 ხე კი სახლის ბაღში ხარობს. ასეთი გამწვანება იდეალურ მიკროკლიმატს ქმნის. ხეები საათში დაახლოებით 200 ათას ლიტრ ნახშირორჟანგს შთანთქავენ და ადვილი მისახვედრია, ტურინში მდებარე სახლში ცხოვრება საკმაოდ ძვირი სიამოვნება რომ იქნება.


# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699
9 771987 869003



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.